# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცუღლუტობით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 31 იანვარი, 2012 წელი.

№19 (6896)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


## როგორ ამძიმებს მსუბუქი და უტვინო თავი ფეხებს!



**თბილისი მზადაა, ფულითა და იარაღით ზღოს მოხელეთა შეცდომა** 3



## მცირე „არდადეგები“ ტელეეთერში 5

საავადმყოფოების გახსნა დროებით შეჩერდა!

## ფინანსური ჭიდილი: ევროპული დრამის შემდეგი მოქმედების მოლოდინი 5



## მცირე მეწარმეებს აპარატებს 1 თვით „შეტენიან“ 2




## ხელისუფლების 2 მილიონ 230-ათასიანი ხრიკი 7

## რას აირჩევს საქართველოს ლიდერი — მიბაძავს პუტინს, თუ თავის ხალხს მიენდობა?



## ანტისარაკეტო ფარზე ყველა ტყუის 8

◎ „ქართული ოცნება“

# საქართველო პოლიტიკური რეჟიმისგან განთავისუფლდება

**საზოგადოებრივი მოძრაობა „ქართული ოცნება“ აგრძელებს თემატური ჯგუფების საზოგადოებისთვის წარდგინებას. ამჯერად „ქართული ოცნების“ ოფისში თავდაცვისა და ეროვნული უსაფრთხოების ჯგუფს გაეცვნენ, რომელსაც ირაკლი სესიაშვილი და ლევან იზორია ხელმძღვანელობდნენ.**

ირაკლი სესიაშვილის განცხადებით: ჯგუფის მიზანია თავდაცვისა და უსაფრთხოების ისეთი პოლიტიკისა და სისტემის შემუშავება, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნის წინაშე არსებული საფრთხეების, რისკებისა და გამოწვევების იდენტიფიცირებას და მათი გადაჭრის კონკრეტული გზების დასახვას.

თავდაცვისა და ეროვნული უსაფრთხოების თემატური ჯგუფი აერთიანებს ორ მიმართულებას, ესენია თავდაცვის პოლიტიკა, მართლწესრიგი და უსაფრთხოება.

ამ უკანასკნელს კი უშუალოდ ლევან იზორია უხელმძღვანელებს.

ჯგუფის ამოცანაა გაანალიზდეს და ობიექტურად შეფასდეს ქვეყნის უსაფრთხოების სისტემაში არსებული ვითარება და გამოვლინდეს ის ნაკლოვანებები, რომლის გამოც ქვეყნის უსაფრთხოების სისტემაში სერიოზული კრიზისია, – განაცხადა ლევან იზორიამ.

საპატრულო პოლიციის რეფორმები, რომლითაც ასე ამაყობს ხელისუფლება, მხოლოდ გარეგნულად ჩატარდა, რეალურად მისი განხორციელება მთლიანობაში არ მომხდარა. ეს სისტემა იქცა დამსჯელ მანქანად, რომლის წყალობითაც ხელისუფლება თავს იცავს და ძალაუფლებას ინარჩუნებს, რაც ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებას აზრკოლებს.

ახლად შექმნილი თავდაცვისა და ეროვნული უსაფრთხოების ჯგუფის მიზანია, ამ პოლიტიკური სისტემისაგან განთავისუფლდეს ქვეყანა და პოლიცია დამოუკიდებელ და დემოკრატიულ ორგანოდ ჩამოყალიბდეს.

ლევან იზორიას განცხადებით, გარკვეული სამუშაოები ამ მხრივ უკვე ჩატარებულია და კონკრეტული ხარვეზები აღმოჩენილია, უახლოეს მომავალში ჩამოაყალიბებენ გეგმა-კონცეფციას და წარუდგენენ საზოგადოებას. შესაბამისი კონცეფციის ფარგლებში გათვალისწინებული იქნება ქვეყნის დამცველი თითოეული ჯარისკაცისთვის, პოლიციელისა თუ ამ სისტემაში მომუშავე პირისთვის ისეთი სამუშაო გარემოსა და შესაძლებლობების შექმნა, ფუნქციების, მოვალეობების და უფლებების განსაზღვრა, რომლის ფარგლებშიც ისინი ქვეყნისთვის ღირსეული სამსახურის გაწევას შეძლებენ.

დღესდღეობით, თავდაცვისა და ეროვნული უსაფრთხოების სამინისტროები, რეალურად ყველაზე დახურული და არაგამჭვირვალე სისტემებია, რომლის შეცვლასა და გამოსწორებასაც შეეცდება „ქართული ოცნების“ თემატური ჯგუფი, განაცხადა ირაკლი სესიაშვილმა.

თემატური ჯგუფის წარმომადგენელთა განცხადებით, ისინი აპირებენ აქტიურად იმუშაონ პოლიტიკურ პარტიებთან და დაინტერესებულ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რათა საჯაროდ განიხილებოდეს შემუშავებული წინადადებები და რეკომენდაციები.

**ლია გრიგოლია**

◎ ინფორმაცია

## ნესტან კირთაძე ქალების პოლიტიკაში მოსვლას მიესალმება

**სამოქალაქო მოძრაობა „ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური სახლის“ ხელმძღვანელმა ნესტან კირთაძემ გუშინ ჟურნალისტებთან შეხვედრისას ორგანიზაციის მიზნებზე ისაუბრა.**

**კირთაძის განცხადებით, სამოქალაქო მოძრაობა „ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური სახლი“ ქართულ-ოსური და ქართულ-აფხაზური საკითხების დარეგულირებას მოემსახურება და ის იქნება უშუალოდ საზოგადოების ინტერესებზე მორგებული პროექტის ფარგლებში „ხალხი ხალხისათვის“.**

**ჟურნალისტებმა ნესტან კირთაძეს ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში მოსვლასთან დაკავშირებითაც დაუსვეს კითხვები, რაზეც კირთაძემ განაცხადა, რომ შეხვდა ივანიშვილს და მათი პოლიტიკური მოსაზრებები ერთმანეთს დაემთხვა.**

**— ის სტაგნაციური პოლიტიკური ვითარება, რაც არსებობდა საქართველოში, მთლიანად შეცვალა ბიძინა ივანიშვილმა, როგორც პოლიტიკურმა ფაქტორმა და პოლიტიკური სტაგნაცია იქცა პოლიტიკურ პროცესად. მე გამოვხატავ მის მიმართ პატივისცემას. ჩვენ შევხვდით და დავშორდით, როგორც თანამოაზრეები. როგორი იქნება ჩვენი ურთიერთობები, ამას დრო აჩვენებს, — განაცხადა ნესტან კირთაძემ.**

**მისივე თქმით, მიესალმება ქალების პოლიტიკაში მოსვლას, რომელ პოლიტიკურ ჯგუფსაც არ უნდა მიეკუთვნებოდნენ ისინი.**

**— მივესალმები ეკატერინე ხვედელიძის პოლიტიკაში მოსვლას. ის არ არის მხოლოდ ბიძინა ივანიშვილის ცოლი, ის არის მამაცი, თამამი და გაბედული პოლემისტი, — აღნიშნა ნესტან კირთაძემ.**

**ინტერპრესნიუსი**

◎ პირველი სიმბოლური

## სანდრო გირგვლიანისა და ირინა ენუქიძის სახელობის ფონდ „სამართლიანობაში“ პირველი შენატანი ეკატერინე ხვედელიძემ და ბიძინა ივანიშვილმა მიხეილ სააკაშვილს გადაახდევინეს




**მას შემდეგ, რაც სასამართლოს გადაწყვეტილება ეკატერინე ხვედელიძისთვის მოქალაქეობის აღდგენასთან დაკავშირებით ძალაში შევიდა, ეკატერინე ხვედელიძე აპირებს ქართული სასამართლოს მიერ მიხეილ სააკაშვილისთვის მის სასარგებლოდ დაკისრებული გადასახადი — 100 ლარი გამოიტანოს და სანდრო გირგვლიანისა და ირინა ენუქიძის სახელობის ფონდ „სამართლიანობაში“ გადარიცხოს.**

2011 წლის 27 დეკემბრის 3/7617-11 თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაში სარჩელის ამ ნაწილთან დაკავშირებით წერია:

„ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს პრეზიდენტის 2011 წლის 11 ოქტომბრის №602 ბრძანებულება ეკატერინე ხვედელიძისათვის საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტის ნაწილში; მოპასუხე საქართველოს პრეზიდენტს დაეკისროს... მოსარჩელე ეკატერინე ხვედელიძის სარჩელზე სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 100 (ასი) ლარის ანაზღაურება.“

„შევიტყვე, რომ ბატონი გურამ გირგვლიანი ფონდის შექმნას აპირებს და აწესებს ყოველწლიურ პრემიას ნებისმიერი პროფესიის ადამიანისათვის, რომელმაც ადამიანის უფლებათა დაცვაში გამოიჩინა თავი. მინდა ამ ფონდში გადავრიცხო პირველი სიმბოლური შენატანი – მიხეილ სააკაშვილის დამარცხების საფასური – და გამოვთქვა იმედი, რომ ერთად შევძლებთ საქართველოში სამართლიანობის დამყარებას. სულ მალე დადგება დრო, როდესაც ყველა, მათ შორის პრეზიდენტიც, თანასწორი იქნება კანონის წინაშე“, – აცხადებს ეკატერინე ხვედელიძე.

◎ უთოფო ყაჩაღობა

# მცირე მეწარმეებს აპარატებს 1 თვით „შეტენიან“

**შემოსავლების სამსახურმა თავისი პირით გაამჟღავნა მზაკვრული გეგმა — სალარო აპარატისაგან გამოყენების ვალდებულებისაგან მცირე მეწარმეებს მხოლოდ მარტიდან გაათავისუფლებენ. მანამდე კი ერთი თვით „ჯიპიარესიან“ აპარატებს შეასაღებენ და საარჩევნოდ 300-300 ლარს ააფცქვნიან.**

ახალი სისტემის საკონტროლო სალარო აპარატების შეძენის ვადა უკვე იწურება. შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით, უკვე დარეგისტრირებულია 90 000-მდე სალარო აპარატი. იმ მეწარმეთა რაოდენობა, რომლებსაც ახალი სალარო აპარატი არ აულიათ, ძალიან მცირეა, ამიტომ შემოსავლების სამსახურის გადაწყვეტილებით, დარეგისტრირების ვადა აღარ გადაიწევს.

შემოსავლების სამსახურის ინიციატივით, სერვისცენტრები მთელი საქართველოს მასშტაბით, შაბათ-კვირასაც იმუშავებენ.თუმცა, ამ დღეებში მხოლოდ სალარო აპარატების გაცემა იქნება შესაძლებელი. იმ მეწარმეებს, რომლებიც ჩააბარებენ განაცხადს და გადახდის ქვითარს აიღებენ პირველ თებერვლამდე, ახალი სალარო აპარატის აღებამდე შეუძლიათ ისარგებლონ ძველი მოდელის აპარატით. სხვა შემთხვევაში, პირველი თებერვლიდან ძველი სალარო აპარატის გამოყენება იკრძალება.

საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილებების შედეგად, გადამხდელთა ერთი ნაწილი საერთოდ თავისუფლდება სალარო აპარატის ქონის ვალდებულებისაგან. საქმე ეხება მიკრობიზნესის სტატუსის მქონე გადამხდელებს. მიკრობიზნესის სტატუსი მინიჭებული აქვს 18599 გადამხდელს.

მეწარმეთა ნაწილს კი შემოსავლების სამსახურის გადაწყვეტილებით, „ჯიპიარესიანი“ აპარატები უსასყიდლოდ გადაეცემა. მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე 10 758 მეწარმეს თანხის გადახდის გარეშე უკვე გადაეცა ახალი აპარატი, გვამცნობს Presage.tv.

მოკლედ, ფინანსთა სამინისტრომ ყველა საკითხზე დეტალურად უპასუხა, გარდა ერთისა — რა ეშველება იმ მეწარმეებს, რომლებიც შემოსავლების სამსახურის უფროსმა ჯაბა ებანოიძემ სიტყვიერად გაათავისუფლა სალარო აპარატის ქონის ვალდებულებისაგან, მაგრამ შესაბამის დადგენილებას დღის სინათლე არაფრით აღირსა? მრავალგზის თავის არიდების შემდეგ ებანოიძის უწყებაში ბოლოს და ბოლოს ამოთქვეს ის, რასაც სპეციალისტები დიდი ხანია ეჭვობდნენ — შემოსავლების სამსახური ფიქსირებული გადასახადის გადამხდელ მცირე მეწარმეთა კატეგორიას სავარაუდოდ, თებერვლის ბოლოსთვის განსაზღვრავს; ანუ ეს ნიშნავს, რომ „გათავისუფლებულმა“ მეწარმეებმა სალარო აპარატი მხოლოდ ერთი თვით უნდა შეიძინონ და 300 ლარიც გადაიხადონ. ამის შემდეგ მათ გაათავისუფლებენ გადასახადისაგან და მთავარი პრინციპი — ბოლომდე „შევტენოთ“ მეწარმეებს 50 ლარის თვითღირებულების მქონე 300-ლარიანი აპარატები — დაცული იქნება.

შემოსავლების სამსახურის მომსახურების დეპარტამენტის უფროსის ვასილ გედევანიშვილის განცხადებით, კატეგორიის განსაზღვრის შემდეგ უკვე კონკრეტული ტიპის მცირემეწარმეებისთვის ფიქსირებული გადასახადის მოცულობა დადგინდება.

ფიქსირებულ დაბეგვრასთან დაკავშირებით, მთავრობის დადგენილების დაგვიანება მეწარმეებში კიდევ უფრო ამყარებს ეჭვს, რომ ფინანსთა სამინისტროს მათზე ახალ სალარო აპარატებს ასაღებს. სამინისტროში აცხადებენ, რომ მეწარმე, რომელიც ფიქსირებული დაბეგვრის რეჟიმს აირჩევს, შემოსავლების სამსახური მას ახალი სალარო აპარატის რეალიზებაში დაეხმარება.

სწორედ რომ სასაცილოა სამინისტრო პოზიცია. ამხელა უწყებამ ის ვერ მოახერხა, რომ ორი თვის განმავლობაში ელემენტარული დადგენილება გამოეცა და მცირე მეწარმეების მიერ გამოყენებული აპარატების რეალიზებაზე შეიწუხებს თავს? ანდა მავანმა ახლადგამოჩეკილმა ბიზნესმენმა რატომ უნდა იყიდოს უკვე „ნახმარი“ აპარატი, როცა იგივე ფასად ფინანსთა სამინისტრო ახალსშესთავაზებს?

შეგახსენებთ, რომ შემოსავლების სამსახურმა მცირე ბიზნესის ხელოვნურად გახლეჩის პრობლემის აღმოფხვრის მიზნით გასული წლის ბოლოს მცირე მეწარმეებს დაბეგვრის ახალი ფორმა, ფიქსირებული გადასახადი შესთავაზა.

„ფიქსირებული გადასახადის პირველი მოდელით ის მცირე მეწარმეები ისარგებლებენ, რომლებიც მხოლოდ ფიზიკური პირების მომსახურებას ეწევიან. გადასახადის ასეთი ფორმის არჩევის შემთხვევაში ამ კატეგორიის მეწარმეებს სალარო აპარატის გამოყენების აუცილებლობა და საბუღალტრო დოკუმენტაციის წარმოების ვალდებულება მოეხსნებათ. ისინი თვეში ან კვარტალში კონკრეტული განაკვეთით დაიბეგრებიან“, – განმარტა შემოსავლების სამსახურის უფროსმა ჯაბა ებანოიძემ, თუმცა იქვე დასძინა, რომ „ფიქსირებული გადასახადის განაკვეთი ჯერ დადგენილი არ არის, მაგრამ რეგიონების მიხედვით განსხვავებული იქნება“.

რაც შეეხება ფიქსირებული გადასახადის მეორე მოდელს, ებანოიძის განმარტებით, ამ მოდელით ისეთი საწარმოები ისარგებლებენ, როგორიცაა მცირე საპარიკმახერო, ავტომობილების მცირე სახელოსნო, მცირე პურის საცხობი და ა.შ.

**ეკა ბაქრაძე**

## ◉ პოზიცია



***მას შემდეგ, რაც შარშან, დეკემბრის ბოლოს „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების“ შესახებ საკანონმდებლო ცვლილებები ძალაში შევიდა, სამოქალაქო სექტორის და ოპოზიციური სპექტრის დიდი ნაწილი კანონს აკრიტიკებს და არაკონსტიტუციურს უწოდებს, თუმცა ის საკონსტიტუციო სასამართლოში ჯერ არავის გაუსაჩივრებია.***

***სამართალმცოდნეთა ჯგუფმა, რომლის ერთ-ერთი წევრი რესპუბლიკელი ვახტანგ ხმალაძეცაა, კანონი გააანალიზა და მისი მიღების გამო მმართველი გუნდი მკაცრად გააკრიტიკა.***

***აპირებს თუ არა ეს ჯგუფი მიღებული საკანონმდებლო ცვლილების საკონსტიტუციო სასამართლოში გასაჩივრებას და სასამართლოს გარდა ხელისუფლებაზე ზეწოლის სხვა რა ბერკეტი რჩება ოპოზიციას? — ამ საკითხებზე „მედიანიუსი“ ვახტანგ ხმალაძეს ესაუბრა:***

# მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ კანონში ცვლილებებს საკონსტიტუციო სასამართლოში გავასაჩივრებთ

— ჩვენ, სამართალმცოდნეების ჯგუფი, ის ადამიანები, ვინც ამ კანონის ანალიზზე იმუშავა, საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელის შეტანას ვაპირებთ. ამას უახლოესი ორი კვირის განმავლობაში გავაკეთებთ. ასევე, მე ვიცი, რომ მსგავსი სარჩელის მომზადებაზე სხვებიც მუშაობენ და თუ ისე მოხდება, რომ სარჩელს სხვა ჯგუფებიც შეიტანენ, მაშინ განხილვისას სარჩელები გაერთიანდება და რამდენიმე მოპასუხე დაფიქსირდება.

**— კანონის მიღებიდან თითქმის ერთი თვე გავიდა, აქამდე რატომ არ მიმართეთ საკონსტიტუციო სასამართლოს?**

— გავიხსენოთ, როდის მიიღო პარლამენტმა ეს კანონი — ახალი წლის წინა დღეებში. დღესასწაულების პერიოდში სამუშაო განწყობა ნამდვილად არ არსებობდა. ახლა გაანალიზდა ეს კანონი. საფუძვლიან შესწავლას კი, მოგეხსენებათ, გარკვეული პერიოდი სჭირდება. ეს ერთი მიზეზი იმისა, თუ რატომ არ იყო სარჩელი აქამდე შეტანილი. მეორე მიზეზი არის ის, რომ, სამწუხაროდ, სამართალწარმოების კანონში რამდენიმე წლის წინათ შევიდა ისეთი ცვლილებები, რომელთა მიხედვითაც, სასამართლოს სარჩელის არსებითი განხილვის თვეობით გაჭიანურების შესაძლებლობა მიეცა; მაგალითად, შარშან 6 აგვისტოს მე, ლაშა ტუღუშმა და ალექსანდრე ბარამიძემ საკონსტიტუციო სასამართლოში სისხლის სამართლის კოდექსის 314-ე მუხლი გავასაჩივრეთ. ეს ის მუხლია, რომელიც ფოტორეპორტიორების საქმეს ეხებოდა, 6 აგვისტოს შეტანილ სარჩელზე დღემდე არ მიგვიღია პასუხი, მიიღო თუ არა სასამართლომ იგი არსებითად განსახილველად. ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების“ შესახებ კანონზე საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელი სასწრაფოდ არ იქნა შეტანილი, ესეც არის, თუმცა მიუხედავად ამისა, მიმაჩნია, რომ სარჩელი აუცილებლად უნდა შევიდეს. ამ კანონმა უაღრესად სერიოზული პრობლემები წარმოქმნა კონსტიტუციურობის თვალსაზრისით.

**— იმ შემთხვევაში, თუ საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელის არსებითი განხილვის დაწყება არჩევნებამდე გაჭიანურდება, ან სასამართლო თქვენს აზრს არ დაეთანხმება, ამ კანონის წინააღმდეგ ხელისუფლებაზე ზემოქმედების რა ბერკეტი არსებობს?**

— ზეწოლა შესაძლებელია საზოგადოების აქტიურობით. ახალი წლის შემდეგ, როდესაც მედიაში ამ კანონზე საუბარი დაიწყო, განხილვის პროცესში თანდათან საზოგადოების უფრო ფართო წრეები ჩაერთვნენ — საზოგადოებრივი ზემოქმედება ერთი ბერკეტია. მეორე ბერკეტი არის ამ პროცესში საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართვა. პირველი მცდელობა უკვე იყო. იცით, რომ გუშინ ვენეციის კომისიის მდივანს ამ საკითხთან დაკავშირებით კითხვა დაუსვეს, რის შემდეგაც სრულიად ნათელი გახდა ის, რაზეც აქამდე მხოლოდ საქართველოში ლაპარაკობდნენ. ვენეციის კომისიის მდივანმა თქვა, რომ იგი ამ ცვლილებებზე კომენტარს ვერ გააკეთებს იმიტომ, რომ არ იცნობს, თუმცა დაადასტურა, რომ მიღებული კანონი ვენეციის კომისიის მიერ მომზადებული დასკვნისაგან საკმაოდ განსხვავდება. შეგახსენებთ, რომ ხელისუფლება აქამდე გვარწმუნებდა, ვენეციის კომისიამ ეს ცვლილებები მოიწონა.

**— თქვენ საზოგადოების აქტიურობა ახსენეთ და შეიძლება თუ არა, რომ ამან საპროტესტო აქციების სახე მიიღოს?**

— საზოგადოების რეაქცია როგორი იქნება და სადამდე შეიძლება პროტესტი მივიდეს, ამას ნამდვილად ვერ გეტყვით. გამორიცხული არაფერია.

**— თქვენ თუ აპირებთ მსგავსი ტიპის აქციების ორგანიზებას?**

— ჩვენი ჯგუფი ამ შემთხვევაში პოლიტიკური სუბიექტი არ არის. სამართალმცოდნეთა ჯგუფი და ნებისმიერი სხვა ფიზიკური პირები რომ ავიღოთ, აქციის ორგანიზატორებად ვერ გამოდგებიან. ამის გაკეთებას ვერ შეძლებენ. აქციის ორგანიზება მხოლოდ პოლიტიკურ პარტიებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს შეუძლიათ.

## ◉ ვითარება

# როგორ ამძიმებს მსუბუქი და უტვინო თავი ფეხებს!

## თბილისი მზადაა, ფულითა და იარაღით ზღოს მოხელეთა შეცდომა

**საქართველოს ხელისუფლებამ, რომელიც გადაჭრით უარყოფდა ისრაელის კომპანია „ელბიტ სისტემსის“ პრეტენზიებს, ამ ცოტა ხნის წინათ დაადასტურა, რომ კომპანიასა და საქართველოს შორის მრავალწლიანი დავა მორიგებით დასრულდა. მართალია, ქვეყანა ლონდონის საარბიტრაჟო სასამართლოსაგან 100 მილიონი დოლარის ჯარიმის დაკისრებას და საერთაშორისო სკანდალს გადაურჩა, მაგრამ 4 წლის წინანდელი თანამდებობრივი გადაცდომა თუ უპასუხისმგებლობა ქვეყანას მაინც ძალიან ძვირი დაუჯდება. საინტერესოა, რას ედავებოდა იარაღის მწარმოებელი კომპანია „ელბიტი“ საქართველოს, რა დაუჯდა სახელმწიფოს ბიუჯეტს კომპანიასთან მორიგება და დადგება თუ არა კონტრაქტის შეუსრულებლობის გამო საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენელთა პასუხისმგებლობის საკითხი.**

2012 წელს ისრაელის კომპანია „ელბიტის“ ანგარიშზე საქართველოს ხელისუფლება 35 მილიონ ამერიკულ დოლარს გადარიცხავს და ასევე კომპანიას დაუბრუნებს იმ აღჭურვილობის ნაწილს, რომელიც საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ 2007-2008 წლებში კომპანიისაგან შეიძინა. თუ რა სახის აღჭურვილობაზეა საუბარი, ამას არც საქართველოს და არც ისრაელის მხარე საჯაროდ არ აცხადებენ, მაგრამ ის, რომ მსგავსი გარიგება შემდგარია და ამას წყალი არ გაუვა, ჩვენთან საუბარში კომპანია „ელბიტის“ კომუნიკაციების ოფისის დირექტორმა დალია როუსენმა დაადასტურა:

**„საქართველო აღნიშნულ თანხას აუცილებლად გადაიხდის! თქვენ შეგიძლიათ გამოიყენოთ პრეს-რელიზის ფორმულირება. ის ლეგალური დოკუმენტია და მე არაფერი ვიცი იმის თაობაზე, თუ როგორ შეიძლება ვინმემ გვერდი აუაროს ამ შეთანხმებას“.**

საქართველოს ხელისუფლება უხალისოდ გამოეხმაურა თავდაცვითი სისტემების მწარმოებელი კომპანიის მიერ 29 დეკემბერს გავრცელებულ პრეს-რელიზს.

თუმცა 23 იანვარს გამართულ ტრადიციულ ბრიფინგზე საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ნინო კალანდაძემ კიდევ სცადა „გაბრძოლება“ და განაცხადა, **„რადგან ქართული მხარის პოზიცია იყო მეტად მართებული, შესაბამისად არასწორი იქნება რაიმე ციფრზე საუბარიო.“** თუ რაში მდგომარეობს ქართული მხარის „მართებულობა“, ამაზე ოდნავ ქვემოთ. მანამდე კი საგულისხმოა აღინიშნოს, რომ იგივე კალანდაძე აპრილში საერთოდ უარყოფდა რაიმე სახის დავალიანებას და აცხადებდა, **„რომ თავდაცვის სამინისტროს არა მხოლოდ რაიმე სახის დავალიანება არ გააჩნია, არამედ სხვა კომპანიებს თურმე იქით ჰქონიათ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ვალი“.**

თუმცა საქართველოს სამხედრო ძალების უახლოესმა ისტორიამ არ იცის ფაქტი, რომელიმე ქვეყნის სამხედრო კომპანიას საქართველოსთვის ვალი ან ფულით, ანდა თავდაცვითი იარაღით გაესტუმრებინოს. თბილისიდან კი ისრაელში უკვე მიდის ფულიც და სამხედრო აღჭურვილობაც კომპანია „ელბიტის“ კანონიერი პრეტენზიების დასაკმაყოფილებლად. გარიგების არსებობა რადიო თავისუფლებას დაუდასტურა თინა ბურჯალიანმა, საქართველოს იუსტიციის მინისტრის პირველმა მოადგილემ, რომელიც საერთაშორისო დავებში საქართველოს მთავრობის წარმომადგენელია:

**„შემიძლია დაგიდასტუროთ, რომ ამწუთში არანაირი პრეტენზია და დავა „ელბიტსა“ და საქართველოს შორის არ არსებობს. ეს დავა მოგვარებულია და ამის დადასტურება ნამდვილად შემიძლია. პირველ რიგში, ვადასტურებთ იმას, რაც „ელბიტმა“ თქვა — რომ 35 მილიონი დოლარი და გარკვეული მოწოდებული პროდუქციის ნაწილი ბრუნდება უკან.“**



### ვალი მონმენდილ ცაზე

**როგორც ზემოთ ითქვა, საქართველოს მთავრობამ საერთაშორისო სკანდალის ჩაცხრობა საკმაოდ დიდი თანხის და იარაღის სანაცვლოდ მოახერხა, თუმცა სკანდალი არ ცხრება საქართველოს შიგნით.** ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები და სამხედრო საკითხებზე მომუშავე ექსპერტები მოუწოდებენ საქართველოს ხელისუფლებას, დააყენოს იმ პირთა პასუხისმგებლობის საკითხი, რომლებიც ან უშუალოდ მონაწილეობდნენ 4 წლის წინანდელ გარიგებაში, ანდა თანამდებობრივად იყვნენ პასუხისმგებელი სცოდნოდათ, თუ რა მიზეზით დაირღვა ხელშეკრულება საქართველოს იარაღის ერთ-ერთ მთავარ მომწოდებელთან. აი, რას ამბობს ირაკლი ალადაშვილი, საქართველოში გამომავალ სამხედრო ჟურნალ „არსენალის“ მთავარი რედაქტორი, რომელმაც რამდენიმე პუბლიკაცია მიუძღვნა ამ პრობლემას:

**„ბიუჯეტი შეთხელდა 35 მილიონი დოლარით და ამაზე ხომ უნდა აგოს ვინმემ პასუხი? კონკრეტულად ითქვას, რატომ, რისთვის და რა კონტრაქტები არ შესრულდა. მით უმეტეს, რომ ეს აღარ წარმოადგენს არანაირ სამხედრო საიდუმლოებას, რადგან საქმე სასამართლოში იყო და დაინტერესებული პირები გაეცნობოდნენ, ვისაც სურდა.“**

იხ. 4 გვ.

## ◉ ინფორმაცია

### სოფლის მხარდაჭერის პროგრამის განხორციელებისათვის სახელმწიფო 50 მლნ. ლარს დახარჯავს

**საქართველოს მთავრობის №23 დადგენილების მიხედვით, პროგრამისათვის გამოყოფილი 50 მლნ. ლარი შემდეგნაირად ნაწილდება: არა უმეტეს 50-სულიანი სოფლისათვის გამოყოფილი იქნება 2 000 ლარი; 51-დან 200-სულამდე სოფლისათვის — 4 000 ლარი; 201-დან 400-სულამდე სოფლისათვის — 5 000 ლარი; 401-დან 1 000-სულამდე სოფლისათვის — 8 000 ლარი; 1 000-ზე მეტსულიანი სოფლისათვის — 12 000 ლარი.**

**პროგრამით გათვალისწინებული დარჩენილი თანხა სოფლებისათვის ნაწილდება ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებული მაჩვენებლის მიხედვით. ხოლო აღნიშნული მაჩვენებლები გაიანგარიშება სოფლის მოსახლეობის რაოდენობისა და 12,565409 კოეფიციენტის ნამრავლით.**

**პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი თანხის გამოყენების მიზნობრიობის განსაზღვრა ხდება შესაბამის სოფლის მოსახლეობასთან მხოლოდ წინასწარი კონსულტაციის შემდეგ.**

**დადგენილებაში აღნიშნულია, რომ წინასწარი კონსულტაციის გამართვას უზრუნველყოფს რწმუნებული, რომელიც საჭიროების შემთხვევაში ატარებს მოსახლეობის გამოკითხვას, ორგანიზებას უწევს სოფლის კრების გამართვას, აწყობს საჯარო განხილვებს და მოსახლეობასთან ათანხმებს პროგრამით სოფლისთვის გამოყოფილი თანხის გამოყენების მიზნობრიობას.**

### ბათუმსა და ნახჭევანს შორის პირდაპირი ავიარეისების დანიშვნა იგეგმება

**რეისების დანიშვნაზე ინიციატივა აზერბაიჯანული მხრიდან მოდის, რომელმაც სურვილი გამოთქვა ასევე, რომ ნახჭევანსა და ბათუმს შორის ავტობუსის მარშრუტიც დაინიშნოს, რომელიც ნახჭევანსა და ბათუმს შორის მგზავრების გადაყვანაზე იზრუნებს. როგორც სააგენტო „ჯი-ეიჩ-ენთან“ საუბრისას აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრმა ვაჟა ბოლქვაძემ განაცხადა, ავიარეისის დანიშვნაზე ინიციატივა ნახჭევანის მხრიდან მოდის და თუ კონკრეტულად, რომელი კომპანია განახორციელებს ნახჭევანი-ბათუმის რეისს, ეს მოლაპარაკებების შედეგად გადაწყდება.**

**როგორც ცნობილია, აჭარა და ნახჭევანი ტურისტულ-ეკონომიკურ და კულტურულ სფეროებში ითანამშრომლებენ. აჭარაში 3-დღიანი ვიზიტით, გუშინ აზერბაიჯანის ნახჭევანის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი მეჯლისის თავმჯდომარე ვასიფ თალიბოვი იმყოფებოდა, რომელიც აჭარის ტურისტულ და საინვესტიციო პოტენციალს ადგილზე გაეცნო. საქმიანი შეხვედრების პარალელურად სტუმრებმა დაათვალიერეს როგორც ბათუმი, ასევე ქობულეთის ტურისტული ზონა და მაღალმთიანი აჭარა.**

### ცივი ამინდები 7 თებერვლამდე გაგრძელდება

**ცივი და არამდგრადი ამინდები 7 თებერვლამდე გაგრძელდება. როგორც „ინტერპრესნიუსს“ გარემოს დაცვის სამინისტროს მონიტორინგისა და პროგნოზირების ცენტრიდან სვეტლანა ნიორაძემ აცნობა , მცირე თოვლის ნალექი შენარჩუნებულია მხოლოდ თბილისსა და კახეთში. ქვეყნის დანარჩენ ტერიტორიაზე თოვამ გადაიღო. თუმცა სინოპტიკოსები 1 თებერვლიდან 3 თებერვლის ჩათვლით, თოვლის ნალექს ქვეყნის მთელს ტერიტორიაზე ისევ პროგნოზირებენ. შემდეგ უნალექო და ცივი ამინდები 7 თებერვლამდე გაგრძელდება.**

ინტერპრესი

## ვითარება

(მესამე გვერდიდან)

ალსანიშნავია, რომ სამხედრო საიდუმლოს არ წარმოადგენს არც ის, თუ რა სახის თავდაცვით იარაღს ყიდულობდა საქართველო კომპანია „ელბიტისაგან“ 2007-2008 წლებში. რუსეთ-საქართველოს ომამდე პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა უცხოურ მედიას, კერძოდ, უთხრა, რომ საქართველოს ისრაელში შეძენილი დაახლოებით 40 უპილოტო მზვერავი საფრენი აპარატი ჰყავდა.

იმავე პერიოდში საქართველოს ხელისუფლებამ კომპანია „ელბიტთან“ სხვა მომსახურებებზეც გააფორმა კონტრაქტები, რამაც მნიშვნელოვნად გააძლიერა საქართველოს სამხედრო ძალების მობილურობა და ბრძოლისუნარიანობა. თუმცა სამხედრო ექსპერტებს აკვირვებთ, რატომ დაიდო საქართველომ ისრაელის კომპანიის ვალი და რატომ მიიყვანა საქმე ლამის საერთაშორისო სასამართლომდე, როდესაც 2008 წელს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტი რეკორდულად გაიზარდა და 1.3 მილიარდ ლარს შეადგენდა. ერთი შეფასებით, საქართველოს ხელისუფლება, დიდი ალბათობით, თავისივე საქციელის შედეგს უნდა იმკიდეს.

ირაკლი სესიაშვილის, სამხედრო მოსამსახურეთა უფლებების დამცველი საზოგადოების, „სამართალი და თავისუფლების“ დირექტორის თქმით, „ელბიტმა“ საქართველოს ხელისუფლებასთან არბიტრაჟის მეშვეობით საქმის გარკვევა მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც ქართველმა სამართალდამცველებმა 2010 წლის ოქტომბერში ბათუმში დააკავეს ისრაელელი ბიზნესმენები რონი ფუქსი და ზეევ ფრენკელი:

**„ვფიქრობ, საქმე არ გართულდებოდა, რომ არა ისრაელელი ბიზნესმენების დაკავება. ამ დაკავებას მოჰყვა ისრაელის სახელმწიფოს განაწყენება და, როგორც სურათი გვიჩვენებს, ისრაელის ხელისუფლებამ მოიკითხა ის ორგანიზაციები, რომელთა მიმართაც (საქართველოს) სახელმწიფოს შეიძლება დავალიანება ჰქონოდა. და ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, იარაღის ვაჭრობასთან დაკავშირებული ორგანიზაციები იქნებოდა პრიორიტეტი და, შესაბამისად, ხელშეკრულებით აღმოჩნდა, რომ საქართველოს აქვს დავალიანება და სწორედ ამ ფორმატში წარმოიშვა ეს დაპირისპირება და შემდეგ ჯარიმის მოთხოვნა.“**

საქართველოს ხელისუფლება ვერ ხედავს კავშირს ამ ორ საქმეს შორის და საერთოდ უარყოფს „ელბიტთან“ კონტრაქტის დარღვევას ანდა დავალიანების წარმოქმნას, რაზეც, როგორც ზემოთ ითქვა, საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ ისრაელის თავდაცვითმა კომპანიამ სარჩელი შეიტანა გაერთიანებული სამეფოს უზენაეს სასამართლოში. თინა ბურჯალიანი, იუსტიციის მინისტრის მოადგილე, ყველაფერს „რესტრუქტურიზების ვალდებულებაში“ შეფერხებით ხსნის:

**„მე თავიდანვე სწორედ ეს გითხარით, რომ 2008 წლის ომის შედეგად და ფინანსური კრიზისის შედეგად, ჩვენ აღმოვჩნდით სიტუაციაში, როდესაც ჩვენ დაგვჭირდა რესტრუქტურიზაცია იმ ვალდებულებებისა, რომელიც „ელბიტთან“ გაგვაჩნდა. ანუ რაღაც ჯარიმაზე, ზედმეტ გადასახდელზე და ასე შემდეგ - ამაზე არ ყოფილა ლაპარაკი. და ამას ვგულისხმობ სწორედ და ეს არის კარგი, რომ ავიცილეთ (ასეთი განვითარება) თავიდან და ძალიან მალე შევედით განახლებული ურთიერთობების ფაზაში „ელბიტთან“, რაც ძალიან მისასალმებელია.“**

### ფულის „გატეხა“ სახელის გატეხას გერჩიოს

**მაგრამ ამ საქმეში ვერაფერს მისასალმებელს ვერ ხედავენ დამოუკიდებელი ექსპერტები. სამხედრო მიმომხილველი ირაკლი ალადაშვილი მიიჩნევს, რომ კომპანია „ელბიტთან“ დავა უკვალოდ არ ჩაივლის და კიდევ უფრო დააზარალებს საქართველოს ხელისუფლების იმიჯს, რომელიც მანამდეც საკმაოდ შერყეული იყო საერთაშორისო იარაღის ბაზარზე:**

**„დიდი ხანია საუბარია და საქართველოს სახელი გატეხილი აქვს. ისრაელმა აგვისტოს ომის შემდეგ, ფაქტობრივად, შეაჩერა სამხედრო-ტექნიკური თანამშრომლობა საქართველოსთან. მათ შორის, სხვა ქვეყნებიც თავს იკავებენ.**

# როგორ ამძიმებს მსუბუქი და უტვინო თავი ფეხებს!

## თბილისი მზადაა, ფულითა და იარაღით ზღოს მოხელეთა შეცდომა




**და არა მხოლოდ იმიტომ, რომ არსებობს რუსეთის ზეწოლა და ეს მთავარი ფაქტორი გასაგებია, არამედ ასეთი გარკვეული, რომ ვთქვათ, ფინანსური მაქინაციების გამო.“**

სწორედ შესაძლო „ფინანსური მაქინაციების“ მიჩქმალვის მცდელობად და ორმაგი მორალის კლასიკურ ნიმუშად მიიჩნევენ საქართველოს ხელისუფლების ოპონენტები „ელბიტის“ საქმეზე საქართველოს ხელისუფლების დუმილს. იუსტიციის მინისტრის მოადგილე თინა ბურჯალიანი გადაჭრით აცხადებს, რომ 4 წლის წინანდელი კონტრაქტის პირობების შეუსრულებლობაში სისხლის დანაშაულის ნიშნებს ვერ ხედავს:

**„იმ ფორმატში, რა ფორმატშიც ჩვენ მოგვიწია მუშაობა ამ საქმეზე, არ გამოვლენილა აბსოლუტურად არანაირი საფუძველი არც ერთი მხრიდან, რათა გვევარაუდა, რომ ადგილი ჰქონდა შესაძლო კორუფციულ გარიგებას. და, შესაბამისად, არც დაწყებულა არანაირი გამოძიება და არც იგეგმება ამწუთში არანაირი სისხლის სამართლის საქმის წარმოება.“**

მაგრამ ოპონენტები ბობოქრობენ. ისინი აცხადებენ, რომ საქართველოს ხელისუფლება სამართალს შერჩევით იყენებს, ხელს აფარებს ელიტურ კორუფციას და მკაცრი მხოლოდ ოპონენტების მიმართ არის. ირაკლი სესიაშვილს მაგალითად მოჰყავს ყოფილი თავდაცვის მინისტრის და ამჟამად დევნილობაში მყოფი „ქართული პარტიის“ ლიდერის ირაკლი ოქრუაშვილის შემთხვევა. საქართველოს ხელისუფლებას მხოლოდ მაშინ გაახსენდა ოქრუაშვილის მინისტრობის დროინდელი სამეურნეო თუ საფინანსო დარღვევები, როდესაც იგი 2007 წელს ოპოზიციაში გადავიდა და მიხეილ სააკაშვილი და მისი უახლოესი გარემოცვის საჯარო კრიტიკა დაიწყო:

**„მე მახსენდება კიდევ ოქრუაშვილის საქმე, რომელსაც ბრალად წაუყენეს სხვადასხვა სამხედრო ნაწილების მშენებლობისას არაკანონიერი ხელშეკრულებების გაფორმება, რომელზეც თავის დროზე ასევე „ნდობის ჯგუფის“ მხრიდან იყო კონტროლი. მაგრამ არც მაშინ და არც ახლა „ნდობის ჯგუფმა“ პასუხისმგებლობა არ აიღო და არ თქვა, ჰქონდათ თუ არა ამის შესახებ მათ ინფორმაცია.“**

საქართველოს საპარლამენტო „ნდობის ჯგუფი“ და მისი ხელმძღვანელი გივი თარგამაძე ჟურნალისტებს არ ხვდება და არ აკეთებს კომენტარებს „ელბიტსა“ და საქართველოს ხელისუფლებას შორის წარმოქმნილ დავაზე. საქმეს ვერც ის შველის, რომ საპარლამენტო „ნდობის ჯგუფში“ შემავალი ხუთი კაციდან ორი საპარლამენტო ოპოზიციის წევრები გიორგი თარგამაძე და გიორგი თორთლაძე არიან. თანაც, იმ პერიოდში, როდესაც „ელბიტთან“ კონტრაქტი გაფორმდა, ისინი ჯერ კიდევ არ იყვნენ საქართველოს პარლამენტში და არ მიუწვდებოდათ ხელი მგრძნობიარე ინფორმაციებზე. საზოგადოების დიდი ინტერესის გათვალისწინებით, მათ შეიძლება მოითხოვონ ისრაელის სადავო იარაღის საქმეზე „ნდობის ჯგუფისა“ და საქართველოს მთავრობის შესაბამის წევრებთან შეხვედრა, მაგრამ უმრავლესობის მძლავრ „ფარვატერში“ მოქცეული საპარლამენტო ოპოზიცია იმედგაცრუებული და ხელებჩამოყრილია. როგორც ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის წევრმა, პარლამენტარმა ნიკა ლალიაშვილმა უთხრა რადიო თავისუფლებას, ოპოზიცია დარწმუნებულია, რომ კონკრეტული კონტრაქტების კანონიერების შემოწმების მოთხოვნას საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო უმრავლესობა მხარს არ დაუჭერს:

**„წესით, დალაგებულ ქვეყანაში პარლამენტის როლი დიდი უნდა იყოს, უნდა ვითხოვდეთ ამ ამბავს და საპარლამენტო უმრავლესობა უნდა გვიკმაყოფილებდეს ამ ჩვენს ცნობისმოყვარეობას, მაგრამ, რა თქმა უნდა, ამის შანსი არის ნული და ამიტომაც არ მაქვს იმის იმედი, რომ თუ ჩვენ დავაყენებთ ამ საკითხს, უმრავლესობა პოზიტიურად მოეკიდება და მართლა მოვიკვლევთ მერე, თუ ვისი პერსონალური პასუხისმგებლობა იყო ეს საკითხი.“**

როდესაც პარლამენტარი ვერ ხედავს საკუთარ როლს, საზოგადოებაც აღარ ენდობა საკანონმდებლო ორგანოს და, შესაბამისად, ყოველგვარ კონტროლს მოკლებულ აღმასრულებელ ხელისუფლებასაც შეუძლია აკეთოს ის, რასაც საჭიროდ ჩათვლის — დადოს ძვირადღირებული კონტრაქტები, მერე დაარღვიოს ისინი, წარმოქმნილი ვალი გაისტუმროს ფულითა და ნატურით და, თანაც, კმაყოფილმა ამცნოს მოსახლეობას, რომ წარმატებით გაართვა თავი კიდევ ერთ რთულ პრობლემას.

**კობა ლიკლიკაძე,**
რადიო „თავისუფლება“

## ჩვენი პრესდაიჯესტი



### რუსთაველის თეატრში მისი დაარსების დღიდან ასეთი უხამსი სპექტაკლი არ დადგმულა!

რუსთაველის თეატრის სცენა ექსპერიმენტების ჩატარების ადგილად იქცა, უსუსურზე უსუსური „ქეთო და კოტეს“ შემდეგ სრული უხამსობა — **„შემეხე“** წარმოადგინეს. „რუსთაველის თეატრში მისი დაარსების დღიდან ასეთი უხამსი სპექტაკლი არ დადგმულა!“ — ამბობს თეატრმცოდნე ვასო კიკნაძე.

**„ასავალ დასავალი“.**

### სპეცოპერაცია კოდური სახელწოდებით: „შეაგინე ბიძინას!“

როგორც ვიცით, საჩხერეში საზეიმო კონცერტმა არაორდინლურ ვითარებაში ჩაიარა, პოლიციელები სასტიკად გაუსწორდნენ მილიარდერის მხარდამჭერებს. საჩხერის გამგებელი „კვირის პალიტრას“ დაემალა, კომენტარს ვერ გავაკეთებო.

**„კვირის პალიტრა“.**

### „საქართველოსთან ძველი ურთიერთობა აღარასოდეს აღდგება“

— ამბობს აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტი ალექსანდრე ანქვაბი, — აფხაზეთი საკუთარ ტერიტორიაზე არ შეუშვებს იმ ქვეყნის დიპლომატებს, რომლებიც რესპუბლიკის მოქალაქეებს საქართველოში დამზადებულ „ნეიტრალურ“ პასპორტებს სთავაზობენ... ჩიხური სიტუაცია იქამდე გაგრძელდება, ვიდრე ევროპა არ გაიგებს, რომ საქართველოსთან ძველებური ურთიერთობის დაბრუნება არ იქნება.

**„მთელი კვირა“.**

### „ასპინძა გაუდაბნოვდება, ბათუმი და მესტია დაიტბორება“

ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი შალვა ოგბაიძე შიშობს, რომ მალე საქართველო ეკოლოგიური კატასტროფის წინაშე დადგება. მისი განცხადებით, ხელისუფლების პოლიტიკა ბევრ კითხვის ნიშანს აჩენს. ოგბაიძე ხელისუფლებას მოუწოდებს, მტკვრის კალაპოტის შეცვლასთან და ლაზიკის მშენებლობასთან დაკავშირებით დებატები გახსნას და საზოგადოებას სიმართლე უთხრას.

**„ახალი თაობა“.**

### როდიდან ივლიან რუსთაველსა და ვაკეში მიკროავტობუსები?

რატომ აღარ ელოდებიან თბილისელები ავტობუსს? რა უშლის ახალი სამარშრუტო ტაქსების ვაკესა და რუსთაველზე გავლას ხელს? და როგორ აპირებს კომპანია „თბილისის მიკროავტობუსი“ მანქანებში დამონტაჟებული ეკრანებით ფულის გაკეთებას?.. — ამ საკითხებზე საუბრობს საქართველოს მძღოლთა ასოციაცია „ტასატის“ თავმჯდომარე ნიკოლოზ კაჭკაჭური.

**„ქრონიკა“.**

## ინფორმაცია

# თბილისის მერია: გუდიაშვილის მოედნის გასხვისება არ მოხდება

**გუდიაშვილის მოედანი წარმოადგენს თბილისის მერიის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებას და მერიას არ გაუსხვისებია და არც მოხდება აღნიშნული ტერიტორიის გასხვისება. ამის შესახებ თბილისის მერიიდან იტყობინებიან.**

**რაც შეეხება გუდიაშვილის მოედანზე მდებარე შენობა-ნაგებობებს, მერიის ინფორმაციით, დღევანდელი მდგომარეობით, შენობები თბილისის განვითარების ფონდის საკუთრებაშია.**

**— ყოველივე ეს გულისხმობს, რომ თბილისის მერიისა და ფონდის თანხმობის გარეშე გუდიაშვილის მოედანზე ვერ განხორციელდება ვერანაირი სამუშაო, ვერ მოხდება ვერც იერ-სახის თვითნებურად შეცვლა და ვერც შენობების დემონტაჟი. ჩვენი პრიორიტეტია გუდიაშვილის მოედანზე მდებარე ისტორიული შენობებისა და ზოგადად ამ ურბანული ქსოვილის კულტურული მემკვიდრეობის სრულად შენარჩუნება. აღნიშნულიდან გამომდინარე, იგეგმება შენობების კონსტრუქციული გამაგრება და ისტორიული ფასადების რესტავრაცია, — იუწყება თბილისის მერია.**

**მერიის ინფორმაციით, ამჟამად თბილისის განვითარების ფონდსა და კომპანია „ირაო მაგნატ გუდიაშვილს“ შორის გაფორმებულია წინარე ხელშეკრულება - მემორანდუმი.**

**— ხელშეკრულების თანახმად, გუდიაშვილის მოედანზე მდებარე შენობებზე, ინვესტორის საკუთრების უფლება გავრცელდება მას შემდეგ, რაც ის სრულად შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს. კერძოდ: განახორციელებს დამტკიცებული პროექტების მიხედვით განაშენიანების სამუშაოებს და გადაიხდის ქონების ღირებულებას, — აღნიშნულია მერიის განცხადებაში.**

**მერიის ინფორმაციით, ამჟამად საინვესტიციო კომპანია შენობების სარესტავრაციო და გამაგრების პროექტებზე მუშაობს.**

ინტერპრესი

პერსპექტივა

# ფინანსური ჭიდილი: ევროპული დრამის შემდეგი მოქმედების მოლოდინი



**მსოფლიო ფინანსურ-ეკონომიკურმა კრიზისმა დიდი სოციალურ-პოლიტიკური ძვრები გამოიწვია, საკმაოდ მნიშვნელოვანი და საგულისხმო. გარდა ამისა, მთელ რიგ ქვეყანაში სახელისუფლებო საჭესთან ისეთი ხალხი მოხვდა, ვინც... არავის აურჩევია!**

მაგალითად, საბერძნეთის პრემიერ-მინისტრად დაინიშნა ლუკას პაპადემოსი, რომელიც მანამდე საბერძნეთის ბანკის პრეზიდენტი, უფრო ადრე კი – ამერიკის ქალაქ ბოსტონში ფედერალური სარეზერვო ბანკის უფროსი ეკონომისტი იყო. იგი მთავრობის ხელმძღვანელად მაშინვე დანიშნეს, როგორც კი მის წინამორბედ გეორგის პაპანდრეუს ნერვებმა უმტყუნეს და მან ქვეყანაში ეკონომიის კიდევ უფრო მკაცრი ზომების მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით სახალხო რეფერენდუმის ჩატარება გადაწყვიტა. ის, ფაქტობრივად, ხელისუფლებას ზედმეტი თვითნებობისთვის მოაცილეს. პაპანდემოსმა კი, როგორც ექსპერტები აღნიშნავენ, მშვენივრად უწყის, თუ როგორ უმალავდა მისი ქვეყანა ევროზონის სხვა სახელმწიფოებს თავის უზარმაზარ ვალებს მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი კომერციული ბანკის „გოლდმან საქსის" მეშვეობით. იცის და ხმასაც არ იღებს, ამიტომაც მოგეზასაა.

დამკვირვებლები დარწმუნებულნი არიან, რომ პაპადემოსის თანამოაზრეა ასევე იტალიის ახალი პრემიერ-მინისტრი მარიო მონტი. სილვიო ბერლუსკონის ეს მემკვიდრეც, რომელიც თავის დროზე იმავე კომბანკის „გოლდმან საქსის" საერთაშორისო საკონსულტაციო საბჭოს წევრი იყო, ასევე არავის აურჩევია: ახალი ლიდერი ხალხს „ზემოდან დაუშვეს". მეტიც: პრემიერ მონტის მთავრობაში არჩევნებგამოვლილი არც ერთი კაცი არ არის. მაგრამ „სუპერ მარიომ", როგორც მას იტალიელმა ჟურნალისტებმა ასპარეზზე გამოჩენისთანავე შეარქვეს, საქმე „ქანჩების მაგრად მოჭერით" დაიწყო. მან იტალიაში ქალთა პენსიაში გასვლის ასაკი 60-დან 62 წლამდე, მამაკაცთა კი 65-დან 66-წლამდე ისე გადასწია, რომ პარლამენტის თანხმობას არც დალოდებია, თან ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოთა ხარჯიც მკვეთრად შეამცირა.

საზოგადოებას ორივე ლიდერი „გადამრჩენელ-ტექნოკრატებად" წარმოუდგნენ, რომლებიც თავგამოდებით ცდილობენ თავიანთი ქვეყნების ფინანსური მორევიდან ამოთრევას. ამასთან დაკავშირებით, გავლენიანი ყოველთვიური გამოცემა „მონდ დიპლომატიკი" აღნიშნავს, რომ არც ერთი მათგანი „აპოლიტიკური ტექნოკრატი არ არის, ორივე მემარჯვენეა". აღნიშნავენ ასევე იმასაც, რომ მათსავით მემარჯვენეა ევროპის ცენტრალური ბანკის ახალი თავკაცი მარიო დრაგი, რომელიც ბერძნული აფიორის ხანებში... იმავე „გოლდმან საქს ინტერნეშნელის" ვიცე-თავმჯდომარე და მმართველი დირექტორი იყო.

ამდენად, გამოდის, რომ გარკვეულწილად, ევროპის მართვა... „გოლდმან საქსის" ხელში გადადის!

* * *

საქმიან წრეებში ამ კომერციულ ბანკ „გოლდმან საქსს" მეტსახელად „ფირმას" უწოდებენ, რომელსაც თავისი ხალხი ყველგან ჰყავს, 2006 წელს ამერიკის შეერთებული შტატების ფინანსთა მინისტრად დანიშვნამდე ჰენრი პოლსონი „გოლდმან საქსს" ედგა სათავეში. 2008 წელს, ეგრეთ წოდებული „პოლსონის გეგმის" ამოქმედებამდე, რომელიც ამერიკის ფინანსური სტრუქტურების გადასარჩენად 700 მილიარდი დოლარის გამოყოფას ითვალისწინებდა, იგი მოსკოვში ჩავიდა და ზედმეტი ყურადღების მიუპყრობლად, თავისი ყოფილი კომპანიის (ე.ი. „გოლდმან საქსის"-ძ უმაღლესი ხელმძღვანელობის მთელ შემადგენლობასთან შეხვედრა ერთ-ერთ სასტუმროში ჩაატარა. რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, მომავალი გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისისთვის ეს გუნდი ჩინებულად მომზადებული აღმოჩნდა. ექსპერტები იმასაც კი უსვამენ ხაზს, რომ **ზოგჯერ შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ამ გუნდის წევრებმა მომავალი მოვლენების შესახებ ოდნავ ადრე იციან, ვიდრე ისინი რეალურად მოხდება.**

თუმცა, მიმომხილველები იმასაც აღიარებენ, რომ მსხვილი კაპიტალის ხელში ხელისუფლების კონცენტრირების ამბის თუნდაც ისეთი ყოვლის შემძლე კორპორაციის ინტრიგების დონემდე დაყვანა, როგორიცაა „გოლდმან საქსი", ძალიან პრიმიტიული იქნებოდა.

შარშან, ოქტომბრის მიწურულს, **ციურიხის უნივერსიტეტმა ერთობ საგულისხმო გამოკვლევის შედეგები გამოაქვეყნა. მეცნიერებმა, ფაქტობრივად, ყველა, 43060 ტრანსნაციონალური კომპანიის ანალიზი ჩაატარეს, რისი მიზანიც იმის დადგენა იყო, თუ ვინ და რა სახით რას ფლობს. გამოკვლევის შედეგად „მსოფლიო ეკონომიკის ქვაკუთხედი 1318 ტრანსნაციონალური კომპანიის „რუკა" შექმნეს". ყველაზე საინტერესო კი ისაა, რომ ამ რჩეულ 1318 კომპანიას შორის მკვლევარებმა 147 კომპანიის კომპაქტური ჯგუფი აღმოაჩინეს, რომელიც სხვათა სიმდიდრის 40 პროცენტს აკონტროლებს. ამ 147 კომპანიიდან თითოეული ნაწილობრივ ან მთლიანად სხვა კომპანიებს ფლობს. ესენი ძირითადად, ბანკები და სხვა საფინანსო ორგანიზაციები არიან. მაგრამ საქმე ისაა, რომ, თუ ამ კომპანიათა შიგნით რაღაც მოხდება, ამან, შესაძლოა, ეკონომიკისა და ფინანსების გლობალური ჩამოქცევა გამოიწვიოს.**

მსოფლიო ფინანსურ-ეკონომიკური კატაკლიზმი ჯერ კიდევ ოთხი წლის წინათ შეიძლებოდა მომხდარიყო, მაგრამ საქმეს ამერიკულმა ფულის საბეჭდმა მანქანებმა უშველა, რომლებიც ცვეთაზე მუშაობდნენ და გარდუვალი კრახის გადაწევა შეძლეს. **ახლა მეორე კრიტიკული ეტაპის მოლოდინია. მსოფლიო ბანკის მონაცემებით დღესდღეობით მსოფლიოში 707 ტრილიონ დოლარზე მეტი თანხის დერივატივებია მიმოქცევაში** (დერივატივი – ესაა დაგირავებული ვალდებულებანი და დაზღვევები, რომლებსაც არანაირი უზრუნველყოფა არ გააჩნიათ! ეს ისტორიაში არნახული ფინანსური „საპნის ბუშტია". ცნობისთვის ვიტყვით, რომ **მსოფლიო მთლიანი პროდუქტის ღირებულება 63 ტრილიონი დოლარია. ჰოდა, ეს საპნის ბუშტი თუ გასკდება, მთელი მსოფლიოს სპეკულატიურ ეკონომიკასა და „ფსევდოდემოკრატიას", რომ იტყვიან, ყოფის დღე ეტირება.**

აი, ესაა, ექსპერტთა აზრით, იმის მიზეზი, რომ „გოლდმან საქსის" აღზრდილმა „ბიჭებმა" ხელისუფლების სახეს მოჰკიდეს ხელი.

* * *

ხაზს უსვამენ იმ გარემოებასაც, რომ ამ „ბიჭებმა" ეკონომიკურად უძლიერესი გერმანიის გაცურებაც კი შეძლეს, როცა შარშან ნოემბერში მან თავისი ათწლიანი დაფარვის ვადის მქონე ფასიანი ქაღალდების განთავსება მოინდომა. ამ ფასიანი ქაღალდების 35 პროცენტის გასაღება ბერლინმა მაშინ ვერ შეძლო, თუმცა კი ვალებით დახუნძლულმა იტალიამ, რომელსაც სათავეში უკვე „გოლდმან საქსის" სანდო პირი მარიო მონტი ედგა, თავის ფასიანი ქაღალდების განთავსება უპრობლემოდ მოახერხა. **ამით გერმანელებს არაორაზროვნად მიანიშნეს, რომ საერთაშორისო მსოფლიო კაპიტალი ევროპაში მათ ბატონობას არ დაუშვებს.**

ყოველივე ამის გამო ექსპერტები მოვლენათა წინასწარ გაუთვალისწინებელი სცენარით განვითარებას ვარაუდობენ. საქმე ის არის, რომ გერმანიის უზენაეს ხელმძღვანელობას მონტისგან, პაპანდემოსგან, ასევე ევროკავშირის თავმჯდომარის ჰერმან ვან რომპეისგან და საგარეო პოლიტიკის ხელმძღვანელ ბარონესა ეშტონისგან განსხვავებით, ძალაუფლებაში თავისი მოსვლის არჩევითობით და არა დანიშვნით მოსვლის განცდა აქვთ. ამდენად, გერმანელებს, რომლებმაც მოიცილეს „მუდამ დამნაშავეთა" კომპლექსი, რომელიც მათ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სულ თან სდევდათ, მოვლენათა განვითარების თავიანთი სცენარები აქვთ. ისინი არც თავად ცხოვრობენ ვალებით, არც სხვის კრედიტების გადახდას აპირებენ დიდხანს. ამდენად, სავარაუდოა, რომ ახლო მომავალში ევროპული დრამის ახალი მოქმედება დაიწყოს.

**ლალი ხუნდაძე**

ბაქიბუქის კორიანტელში



# მცირე „არდადეგები" ტელეეთერში

## საავადმყოფოების გახსნა დროებით შეჩერდა!

**საქართველოს ტელესივრცეში, როგორც იქნა, „არდადეგები" ჩამოდგა. ღმერთმა უშველოს ბარაკ ობამას, სააკაშვილი სასწრაფოდ ვაშინგტონში რომ გამოიძახა, თორემ ყოველდღიურად საავადმყოფოების გახსნის ცერემონიალის ცქერით ფეხმძიმე ქალებს ლამის მუცლები გაუცუდდათ. ხალხს პირდაპირ ყელში ამოუვიდა მიშნაცების მიერ კლინიკებში დადგმული უნიჭო ტელესპექტაკლები, რომლებსაც სააკაშვილი ყოველ ჯერზე „პრემიერებად" გვასაღებს. ეს ბევრს აგონებს იმ პერიოდს, როცა ტელევიზორში წარამარა ბრეჟნევს აჩვენებდნენ და მობეზრებული ადამიანები იძულებული იყვნენ, თავის ტელევიზორი სხვა არხებზე გადაერთოთ მანამდე, ვიდრე ბელადის გამოსვლა არ დასრულდებოდა.**

ამ კონკრეტულ შემთხვევაში ბედმა გაგვიღიმა და საავადმყოფოების გახსნა დროებით შეჩერდა, მაგრამ ეს ნიშნავს, თუ არა იმას, რომ ამერიკიდან უკან დაბრუნებული პრეზიდენტი თავის საყვარელ „თამაშს" აღარ გააგრძელებს? არაო, არ ნიშნავსო, გვამშვიდებს „ინტერპრესნიუსისთვის" მიცემულ ინტერვიუში ფსიქოლოგი ნოდარ სარჯველაძე. მისი აზრით, პრეზიდენტის გაჩერება არ გამოვა, რადგან მას არ შეუძლია სხვაგვარად მოქმედება, არ შეუძლია არ იყოს ჰიპერაქტიური.

– რატომ?

– „საქმე ის გახლავთ, – ამბობს ნოდარ სარჯველაძე, – რომ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ მან პრეზიდენტის ამგვარი მოქმედება თავად დაამკვიდრა და ახლა თავის მიერვე დამკვიდრებული ჩვევების ტყვეობაშია. ახლა იგი ამას ვეღარ გადაეჩვევა და, პირიქით, გაზრდის კიდეც, მიუხედავად იმისა, რომ ეს მისთვის საზიანოც კია, იმ მიზეზით, რომ ადამიანებს ყოველდღე ეკრანზე მისი ყურება მობეზრდათ. მიუხედავად ამისა, ის ამგვარ ქცევას მაინც გააგრძელებს".

გასაგებია, ჩემო ბატონო. გამოდის, რომ პრეზიდენტ სააკაშვილს ჰიპერაქტიურობას, უფრო სწორად, პიარაქტიურობას ვერ გადავაჩვევთ, მაგრამ ახლა ობიექტების გახსნისას ამდენს რომ „გვაბოლებს", იქნებ ტრაბახსა და ბაქიბუქს მაინც გადავაჩვიოთ? ფაქტია, რომ ახალი საავადმყოფოები, რომლებსაც სააკაშვილი ხშირად ევროპულ ხუთვარსკვლავიან სასტუმროებს ადარებს, ბიჟუტერიის მსგავსად, მხოლოდ გარეგნულად „ბრწყინავენ", იქ სამუშაოები ხშირ შემთხვევაში მხოლოდ პირველ და მეორე სართულებზეა დასრულებული, ზედა სართულები კი დაუმთავრებელია. ულტრათანამედროვე სამედიცინო აპარატურაც, რომლითაც ასერიგად ამაყობს ჩვენი პრეზიდენტი, კახური ხაშლამასავით მხოლოდ ჩამოტარებით არის, ის რაიონიდან რაიონში გადააქვთ და, როგორც ექიმები აღნიშნავენ, უკვე მწყობრიდან გამოდის. თქვენ წარმოიდგინეთ, ასეთ ყველასათვის ხელმისაწვდომ კლინიკებში (ამას სააკაშვილი წარამარა იმეორებსძ ფაქტობრივად ისეთი ხელმიუწვდომლობაა, რომ ავადმყოფი სანთლით საძებარია და პრეზიდენტი უკმაყოფილო რომ არ დარჩეს, მის საამებლად საავადმყოფოებში ზოგჯერ „ჰალსტუხიანი" პაციენტებიც კი შემოყავთ(!ძ.

რა თქმა უნდა, არაფრით არ იყო გამართლებული, როცა სადაზღვევო კომპანიებს ახალი საავადმყოფოების მშენებლობა დააკისრეს და დაზღვევა და სამედიცინო მომსახურება ერთი სუბიექტის ხელში მოაქციეს. ამით გარდა იმისა, რომ უხეშად დაირღვა ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა, დამზღვევ კომპანიებს საშუალება მიეცათ, მეტი ეზრუნათ მოგების მისაღებად და ნაკლები – დაზღვეულთა მოსამსახურებლად. ამაზე მეტყველებს კონტროლის პალატის მიერ გამოქვეყნებული დასკვნაც, რომლის მიხედვითაც სადაზღვევო კომპანიები უმწეო მოქალაქეებს ხელოვნურად უზღუდავენ სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობას უსაფუძვლო გაჭიანურებული პროცედურებით. ამავე დასკვნის მიხედვით, სადაზღვევო კომპანიები მოქალაქეებს მკურნალობის დაფინანსებაზე დაუსაბუთებლად უცხადებენ უარს, სთავაზობენ არასტანდარტულ და არასასურველ სამედიცინო დაწესებულებებს.

ბუნებრივია, სადაზღვევო კომპანიები, რომლებსაც ხელში ჩაუვარდათ სამედიცინო მომსახურება, პირველი რიგის ამოცანად ისახავენ ბიზნესის განვითარებას და იქიდან რაც შეიძლება მეტი მოგების მიღებას. ამიტომაც არის, რომ ხსენებულმა კომპანიებმა უფრო მეტი იზრუნეს საავადმყოფოების გაპრანჭვაზე, ვიდრე ექიმებისათვის ხელფასების გაზრდასა და კლინიკებში სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობაზე. სულაც არ არის გასაკვირი, რომ კახეთში, სამედიცინო ცენტრების თანამშრომლები, რომლებსაც მმართველი კომპანია „ჯეო ჰოსპიტალსი" ხელფასებს არ უხდის, პროტესტის ნიშნად გაფიცვას გეგმავენ. კომპანიის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, 2011 წლის დეკემბრიდან სამედიცინო ცენტრში მომსახურების ფასები გაორმაგდა. საავადმყოფოს მიმღებში ამბულატორიული დახმარება, რომელიც 45 ლარი ღირდა, 90 ლარი გახდა, ღამის ექიმის გამოძახება – 50 ლარი.

იხ. 6 გვ.

## ◎ არა საზომი, ნიმუში, ნორმა

# ქართული „მოდელი“ და ჩვენი ეროვნული ხასიათი



სიამაყით ქართულ მოდელზე, უფრო ხშირად, ხელისუფლება ლაპარაკობს, რაც სულ არ არის გასაკვირი – აბა რის ხელისუფლება იქნებოდა! ოპოზიცია თუ ახსენებს – ბრჭყალებში სვამს, ვინაიდან, მისი ღრმა რწმენით, ეს „მოდელი“ უვარგისია, თვალთმაქცურია, ყალბია და ამრიგად, მოსასპობი. სიტყვა მოდელი ისე ხშირად ჟღერს, რომ ჩვენ მას არა მარტო შევეჩვიეთ – ხშირად ყურადღებასაც კი არ ვაქცევთ, არც ვუფიქრდებით რა იგულისხმება თვით ამ სიტყვაში. **მოდელი** (ფრანგული modele, ლათინური modulus – **საზომი, ნიმუში, ნორმაძ – რაიმე რეალური ობიექტი ან მოვლენაა, რომელიც დაგეგმილი ობიექტის ან მოვლენის გამარტივებული ვერსიაა (პროტოტიპია); ბუნებრივი ანდა სოციალური რეალობის ანალოგი (სქემა, სტრუქტურა, ნორმა)**. ამრიგად, როდესაც ქართული მოდელი მოიხსენიება, უნდა ვივარაუდოთ, რომ ამაში ჩვენი სახელმწიფო იგულისხმება, მისი პოლიტიკური, ეკონომიკური მართვის სისტემებით, მისი სახელმწიფო აპარატის ქმედითუნარიანობით, საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო შტოების ერთმანეთისგან განცალკევებით და დამოუკიდებლობით, მედიის თავისუფლებით, სახელმწიფო მექანიზმების ფუნქციონირების ეფექტურობით და სოციალური სფეროს დამაკმაყოფილებელი მდგომარეობით.

არის კი ჩვენი რეალობა სხვებისთვის დადებითი და მისაბაძი ნიმუში? ვინაიდან, ვარდების რევოლუციის შედეგად, ახალი ხელისუფლების პრაქტიკული ამოქმედება ერთგვარი ცდის, ექსპერიმენტის ხასიათს ატარებდა, ატარებს და დღემდე არ დასრულებულა, მასში დადებითი ტენდენციებიც არსებობს და უარყოფითიც. თუნდაც მხოლოდ ამ მიზეზით, მთლიანობაში, ჩვენი სახელმწიფო მისაბაძ მაგალითად ჯერ ვერ ჩაითვლება – მხოლოდ ფრაგმენტულად. ამას ისიც მოწმობს, რომ სადღეისოდ ჩვენმა ქვეყანამ მსოფლიოს თვალში ზოგიერთი მაჩვენებლით უკან დაიხია და **თავისუფალი ქვეყნების ჯგუფიდან გადაინაცვლა ნაწილობრივ თავისუფალ ქვეყნების ჯგუფში.** ის რომ ამიერკავკასიაში საქართველო ლიდერობას მაინც ინარჩუნებს არ შეიძლება გვაწყნარებდეს – წარმატებული და ფუჭი ცდების ხანაში ვიმყოფებით. ამას ისიც მოწმობს, რომ მსოფლიოს მხრიდან, სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების, დაკვირვებების დაბალი ხარისხი უმთავრესი პრობლემაა, როგორც მათთვის, ასევე ჩვენთვის.

მაგალითისთვის ავიღოთ კორუფცია, რომელიც, ასე თუ ისე, ყველგან არსებობს. ნებისმიერი დემოკრატიული სახელმწიფოს მიზანია, ყველა სამართლიანი და კანონიერი ხერხით, ებრძოლოს კორუფციას. იმის სალი გაცნობიერებით, რომ კორუფციის სრული გაქრობა ილუზია და უტოპიაა, სახელმწიფო, ამ საზოგადოებრივი სენის საბოლოო ამოძირკვის ხმამაღალი მოწოდებით, რეალურად მისი მასშტაბების შემცირებას და მინიმუმის ზღვარზე „გაყინვას“ ცდილობს. სამწუხაროდ, საქართველოში კორუფციის დონის შეფასებისას, ცივილიზებული სამყარო მხოლოდ იოლად აღმოსაჩენ, პირველად ნიშნებს აკვირდება და მათ რომ ვერ აფიქსირებს – დადებით შეფასებებს არ იშურებს. სინამდვილეში კი, სადღეისოდ, ჩვენში კორუფცია განვითარდა, დაიხვეწა და „გარე თვალისთვის“ თითქმის უხილავი გახდა. დასავლეთის დამკვირვებლისთვის პრაქტიკულად შეუძლებელია ახლო ან შორეული ნათესაობრივი და მეგობრული კავშირების აღმოჩენა – კლანურ-კორპორატიული სქემების ამოკითხვა, სადაც ბიზნესი და ხელისუფლება, მონოპოლიზმი და საკადრო პოლიტიკა, დასავლეთისთვის უხილავი ნათესაობრივ-მეგობრიული ურთიერთობებით არიან გადახლართულნი. საერთოდ, ვეჭვობ, რომ ეს მათი მიზანი იყოს, ვინაიდან, როგორც წესი, ასეთი დაკვირვება-გამოძიება – შიდა სახელმწიფოებრივი ანტიკორუფციული და ანტიმონოპოლისტური უწყებების პრეროგატივაა. წვრილი და საშუალო ბიზნესის განუვითარებლობა ბევრი სოციალური და ეკონომიკური მიზეზით აიხსნება. სერიოზული ბიზნესის ჩაკეტილ, მონოპოლისტურ ჩარჩოებში არსებობა, წვრილი და საშუალო მეწარმეებისთვის, ერთ-ერთი მთავარი, ფსიქოლოგიური, წინააღმდეგობაა. ქვეყანაში, რეალურად, ახალი საქმის წამოწყების შემაკავებელმა თვითცენზურამ დაისადგურა. ეს (საკუთარი ინიციატივის შებოჭვისძ სინდრომი ჩვენი „მოდელის“ ცენტრალური ნაწილია.

რახან საქართველო მისაბაძ მაგალითად მხოლოდ ფრაგმენტულად თუ ჩაითვლება, ისიც უნდა აღინიშნოს – უმაღლეს დონეზე პოლიციის კომპიუტერული აღჭურვილობა სხვებისთვის აშკარად მისაბაძია. ჩვენთვის კი ეს მიღწევა აქტუალურია ერთი პირობით: კომპიუტერული შიდა ოპერატიული კავშირი იმ შემთხვევაშია პოზიტიური თუ მისი გამოყენება არ მოემსახურება პოლიტიკურ, ამოცანებს.

საერთოდ, ჩვენთვის ქართული მოდელი, ცოტა არ იყოს, უხერხული სახსენებელია, ვინაიდან ბევრ დადებით მაგალითს ჰფარავს რამდენიმე თანხლები და სრულიად ნეგატიური თვისება. ზოგი მათგანის პრევენცია, გამოსწორება, შეცვლა ან გაუქმება შესაძლებელია, ზოგი კი გამოუსწორებელია და ფატალურად საშიში.

უზარმაზარი ჰიდროელექტროსადგურების აგება სწორედ ასეთი, „კარზე მომდგარი“, ტრაგიკულ-ფატალური უბედურებაა. განვიხილოთ ამის რამდენიმე მტკიცებულება:

**მიწისძვრის საშიშროება.** ბოლო 15-20 წლის განმავლობაში რეგიონის მაგნიტუდების მაჩვენებელმა აიწია, რაც ნებისმიერი ნაგებობის (უპირველეს ყოვლისა, სტრატეგიული დანიშნულებისძ ბიძგებისადმი გამძლეობის მოთხოვნებს ამკაცრებს. საერთოდ, ასეთ არასტაბილურ რეგიონში, საღად მოაზროვნე ხელისუფლებამ დიდი კაშხალების აგებისგან თავი უნდა შეიკავოს. ქვეყნის წალეკვის ერთი შანსიც თუ არსებობს – ის გადასწონის ნებისმიერ საწინააღდეგო მტკიცებულებებს.

**ეკოლოგიური ცვლილებები.** არავისთვის არ არის რთულად გასაგები, რომ გრანდიოზული კაშხალები რადიკალურად და შეუქცევადად ცვლიან კლიმატურ სურათს. ის ბუნება, რითაც საქართველო ამაყობს და რითიც ხიბლავს ჩამოსულ სტუმრებს, სამუდამოდ დაგვეკარგება.

**სოფლის მეურნეობის დაზარალება და დემოგრაფიული კრიზისი.** კაშხალების აგება სასარგებლო მიწების დაკარგვაა. ამას მოსახლეობის მიგრაციაც მოჰყვება, რაც სოციალურ პრობლემებს უფრო მეტად გაზრდის. მიგრაციასთან ერთად დაიკარგება ზოგიერთი ტრადიციული სოფლის მეურნეობის სახეობა.

**ეკონომიური სირთულეები.** ძნელი წარმოსადგენია, რომ ხელისუფლებას არაფერი გაუგონია გლობალურ დათბობაზე და სრულიად უეჭველ სამეცნიერო გათვლებზე. დღეს ძნელად მოიძებნება ადამიანი, რომელმაც არ იცის, რომ 2030 წლისთვის მსოფლიო მტკნარი წყლის მწვავე დეფიციტს იგრძნობს. ფსიქიურად ავადმყოფია ის, ვისაც ჰგონია რომ ჩვენი რეგიონი გამონაკლისი იქნება. შეცვლილი ეკოლოგიით და გამოუსადეგარი კაშხალებით შევეგებებით მეორე ათასწლეულის ოცდაათიან წლებს. სხვათა შორის, ოცდაათიან წლებამდე ამ დანაშაულებრივი წამოწყების ადეკვატურ მოგებასაც ვერ მივიღებთ – ინვესტორი ჯერ საკუთარ მოგებაზე და დახარჯული თანხების დაბრუნებაზე იზრუნებს. კაშხალებს კი სწორედ წყლის დეფიციტის დაწყებისთვის ჩაგვაბარებს – აჰა, ისარგებლეთო...

**ნანო ტექნოლოგიები.** ოცდამეერთე საუკუნე ცივილიზებული ქვეყნების ინოვაციური წინსვლით აღინიშნა. პირველ რიგში ეს ნანო ტექნოლოგიების განვითარებით, ენერგიის ალტერნატიული წყაროების ძიებით ხასიათდება. საქართველო მართლაც უნიკალური ქვეყანაა: მცირე ჰიდროელექტროსადგურებისთვის დასაშური პირობებია, მზის და ქარის ენერგიის მოსაპოვებლად ყველა პირობაა... გრანდიოზული კაშხალები კი მეოცე საუკუნეში გვაბრუნებენ და სრული დაღუპვით გვემუქრებიან.

ამრიგად, modele, modulus – საზომი, ნიმუში, ნორმა, ვერსია, ანალოგი, სქემა, სტრუქტურა, ანუ საქართველოს „მიმზიდველი“ მოდელი, მისი პოლიტიკური, ეკონომიკური მართვით, მისი სახელმწიფო აპარატით, საკანონმდებლო, აღმასრულებელი, სასამართლო შტოებით, მედიით, სახელმწიფო მექანიზმებით და სოციალური სფეროთი – ბევრ შემთხვევაში, დასაწუნია. ჩვენი რევოლუციური ხელისუფლება ჰიდროკაშხალური ექსპერიმენტით მზადაა საქართველოს საეჭვო მოდელისგან საშიში დანაღმული ობიექტი შექმნას. **მხოლოდ ერთი რამ ვერ იტანს კამათს და პოლემიკას: ბრიყვული და დამღუპველი გზა გეოგრაფიული კატასტროფისკენ.**

ამ, შესაძლოა საბედისწერო, ვითარებას კიდევ უფრო ამძიმებს ქართული ხასიათის სამი უცნაური თვისება:

**უპასუხისმგებლობა.** არც ერთ სხვა ერს არ გააჩნია (სხარტად, ერთ სიტყვაში მოქცეულიძ პირადი პასუხისმგებლობის განახევრების ცნება – შემომეჭამა, შემომაკვდა, შემომეხარჯა... თითქოს დანაშაული ჩავიდინე, მაგრამ სრულად ჩემი ბრალი არ არის – უბრალოდ ასე (ჩემდა უნებურად თუ განგების წყალობითძ მოხდა ყველაფერი... ამიტომაც დამღუპველ გზას გეოგრაფიული კატასტროფისკენ იოლად გავივლით – ტირილით და ბედის წყევლით – უდანაშაულო მსხვერპლის განცდით.

**წინდაუხედაობა.** არაერთხელ მითქვამს, რომ საქართველო აგზნებული პატრიოტების ქვეყანაა, სადაც, ამავე დროს, მოქალაქეების კატასტროფიული დეფიციტია. სამშობლოს ისტერიული სიყვარული სახელმწიფოსადმი სრულ გულგრილობასთან ორგანულადაა შერწყმული. ამიტომაც, არჩევნების დროს მოსახლეობა გულს მიჰყვება და არა გონებას – რაციოს ემოცია უსწრებს, რაც ზემოხსენებულ „საქართველოს მოდელს“ მშვენიერ საყრდენს უქმნის.

**განებივრებულობა.** სხვადასხვა კულტურებში და სხვადასხვა სარწმუნოებებში არსებობს ერთი რჩევა-დარიგება: სანამ ვინმეს პირადად ან რაიმე მომხდარ მოვლენას პრეტენზიას წაუყენებდე ან აღშფოთებას გამოთქვამდე – შეეცადე ყველაფერში შენი წილი იპოვნო. ეს თვისება ჩვენ არ გაგვაჩნია. უფრო მეტიც – ჯერ კიდევ „ულრუბლო ცაზე“, სანამ მოსახდენი არ მომხდარა, ცხოვრებისადმი გადამეტებული წინასწარი შინაგანი მოთხოვნილება გვახასიათებს – ისე ვცხოვრობთ, თითქოს ყველას და ყოველივეს ჩვენი ვალი ჰქონდეს.

ეს თვისებები ძირს უმაგრებენ და ჰკვებავენ ქართულ „მოდელს“... როგორ უნდა ვიყოთ სხვებისთვის მაგალითი, თუ ჩვენს სახელმწიფოში მართვის სტილისტიკა ცივილიზებული სამყაროსთვის გაუგებარია?! მათ წარსულიდან თუ ახსოვთ ის დრო, როდესაც თითქმის ყველა მნიშვნელოვან საკითხს, თემას, იდეას „შობდა“ და უძღვებოდა ერთი ადამიანი. დღეს მათთვის ეს პრინციპულად მცდარი მიდგომაა – საქმე ის კი არ არის, ჩვენი პრეზიდენტის მიერ წამოჭრილი თემა, იდეა, წამოწყება გენიალურია თუ მცდარი. დღეს მათთვის (გაერთიანებული შტატებისთვის, ევროპისთვის, საპრეზიდენტო, საპარლამენტო თუ კონსტიტუციონალური მონარქიის მოდელისთვის, ნებისმიერი ცივილიზებული საზოგადოებისთვისძ ერთპიროვნული მმართველობა – მიუღებელია. მათთან დიდი ხანია დაიხვეწა მიუკერძოებული მრჩევლების და ექსპერტების ტრადიცია. ეს ცალკე მოქმედი ინსტიტუტია. რასაკვირველია საბოლოო გადაწყვეტილებას პრეზიდენტი ან პრემიერ-მინისტრი იღებს, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როდესაც უამრავი ინტელექტუალის და ცალკე მიმართულებებში მომუშავე ექსპერტების გააფთრებული კამათი რაღაც საერთო გადაწყვეტილებამდე დავა.

ამიტომ თავს ნუ მოვიტყუებთ – დასავლეთისთვის ქართული „მოდელი“ და ჩვენი ეროვნული ხასიათის თავისებურებანი, ერთგვარი ეგზოტიკაა და არა საზომი, ნიმუში ან ნორმა...

**მალხაზ ჟვანია**

## ◎ ბაქიბუქის კორიანტელში

# მცირე „არდადეგები“ ტელეეთერში

(მეხუთე გვერდიდან) ახალი ტარიფებით 2 ათას ლარს გასცდა ისეთი ოპერაციების ღირებულება, როგორიც მანამდე 1000 ლარს არ აღემატებოდა. ამის მიუხედავად, კახეთის საინფორმაციო ცენტრის ინფორმაციით, სამედიცინო ცენტრების თანამშრომლები ხელფასებს მაინც ვერ იღებენ.

როგორც პრესით გახდა ცნობილი, ამას წინათ ლაგოდეხის ახლად გახსნილი სამედიცინო კლინიკის ექთნებმა საპროტესტო აქცია გამართეს. ისინი უკმაყოფილონი არიან დაბალი ანაზღაურებით, რომელსაც მათ კლინიკის მფლობელი კომპანია „არქიმედეს გლობალ ჯორჯია“ სთავაზობს. ამასთან, ექთნებმა ახლაღა შეიტყვეს, რომ მათი გადამზადებისთვის გადახდილ თანხას ხელფასიდან ჩამოაჭრიან. არადა პრეზიდენტმა სააკაშვილმა კლინიკის გახსნისას სიამაყით განაცხადა, რომ კომპანიამ თავის თავზე აიღო თანამშრომლების გადამზადება. ახლა კი გამოდის, რომ ექთნებსა და ექიმებს ტრეინინგისთვის დახარჯულ თანხას 200-ლარიანი ხელფასიდან დაუქვითავენ და მათ თვეების განმავლობაში, ფაქტობრივად, უხელფასოდ მოუწევთ მუშაობა.

აი ასეთია ჯანდაცვის სისტემა ქვეყანაში, **რომლითაც ყველა (მოსახლეობა, სამედიცინო პერსონალი) უკმაყოფილოა, გარდა პრეზიდენტისა, რომელიც არა თუ ამაყობს ამ სისტემით, მამალივით იფხორება და ტელეეთერში ყოველდღიური ტრაბახით გვიკლებს.** მაგრამ თურმე ამას არაფერი ეშველება, იმ უბრალო მიზეზისა გამო, რომ, როგორც ფსიქოლოგები განმარტავენ, მას სხვანაირად მოქცევა არ შეუძლია. სააკაშვილს სხვა პოლიტიკოსებისგან განსხვავებით, ძალიან ბევრი რამე აქვს დასაკარგი, მისთვის პოლიტიკიდან წასვლა პოლიტიკური სიკვდილის ტოლფასია. ამიტომ ჩვენ მოვალენი ვართ გავუფრთხილდეთ ჩვენი პრეზიდენტის პოლიტიკურ ჯანმრთელობას, რათა ჰიპერაქტიური „თამაშებით“ გართულმა ლიდერმა ქვეყანა მოუსავლეთში არ გაისტუმროს!

**ოთარ ხუციშვილი**

ბლეფი

**ხელისუფლების გადაწყვეტილებით, ტელევიზიებისთვის ბიუჯეტიდან დამატებით 2 229 291 ლარი გამოიყოფა. ოფიციალურად ეს თანხა კვალიფიციურ სუბიექტებს წინასაარჩევნოდ მიეცემათ, მაგრამ კანონში მკაცრად იქნება განსაზღვრული, რომ ამ ფულის დახარჯვა მხოლოდ სატელევიზიო რეკლამისთვის იქნება შესაძლებელი. თუ იმ ფაქტს გავითვალისწინებთ, რომ ნაციონალურ ტელეარხებს მხოლოდ ხელისუფლება აკონტროლებს, გამოდის, ხელისუფლება ბიუჯეტიდან საკუთარ ტელევიზიებს იფინანსებს.**

# ხელისუფლების 2 მილიონ 230-ათასიანი ხრიკი



ბოლო დღეების განმავლობაში არსებობდა მოლოდინი, რომ ხელისუფლება „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ კანონში რაიმეს შეცვლიდა, რადგან გამკაცრებული კანონმდებლობა რეალურად მხოლოდ პარტიებს კი არ ზღუდავს, არამედ ყველას, ვისაც ხელისუფლება რომელიმე პარტიასთან რაიმე ფორმით დაკავშირებულ პირად ჩათვლის, იქნება ის ფიზიკური თუ იურიდიული პირი.

სწორედ ამიტომ, მის შეცვლას ქართული არასამთავრობო ორგანიზაციები ღიად ითხოვენ. ამასთან, ბოლო პერიოდში არსებობს ინფორმაცია, რომ ამ ცვლილებებით საერთაშორისო ორგანიზაციებიც უკმაყოფილონი არიან და სააკაშვილს ნორმალური არჩევნების ჩატარებას სთხოვენ.

ძნელი სათქმელია, ბიუჯეტიდან ტელევიზიების დაფინანსებისთვის თანხის გამოყოფა რამდენად ჩაითვლება საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებისთვის გადადგმულ ნაბიჯად, მაგრამ, ფაქტია, რომ ხელისუფლება ცდილობს, სწორედ ეს კონტექსტი მისცეს საკუთარი ტელევიზიების ბიუჯეტიდან დაფინანსებას.

სატელევიზიო რეკლამისთვის დამატებითი თანხების გამოყოფის შესახებ განცხადება პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ პავლე კუბლაშვილმა გააკეთა.

მისი თქმით, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ კანონის 30-ე მუხლს დაემატება მე-12 მუხლი, სადაც ჩაიწერება, რომ საარჩევნო პერიოდში სატელევიზიო რეკლამისთვის კვალიფიციურ სუბიექტებს დამატებითი თანხა გამოეყოფათ.

შეგახსენებთ, რომ პარტიებისთვის სატელევიზიო რეკლამისთვის დაფინანსება უკვე გათვალისწინებულია ჯერ კიდევ ზაფხულში გაფორმებული საარჩევნო შეთანხმების საფუძველზე. იმ საარჩევნო სუბიექტებს, ვინც მომავალ საპარლამენტო არჩევნებში კვალიფიციური სუბიექტის სტატუსს მოიპოვებს, 1 მილიონი ლარი მიეცემა, საიდანაც 300 ათასი ლარი აუცილებლად სატელევიზიო რეკლამაში უნდა გადაიხადოს.

თუმცა, როგორც კუბლაშვილი განმარტავს, იმის გამო, რომ ამის მიცემა არჩევნების შედეგების საფუძველზე მოხდება, ხელისუფლება საჭიროდ მიიჩნევს, რომ პარტიებმა სატელევიზიო რეკლამისთვის დაფინანსება წინასწარაც მიიღონ.

რაც შეეხება თანხის გადანაწილების პრინციპს, შესაბამისი საარჩევნო სუბიექტის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა გამრავლდა სამზე და გაიყო საარჩევნო სუბიექტში შემავალი პოლიტიკური გაერთიანებების რაოდენობაზე. ერთი საარჩევნო სუბიექტისთვის განკუთვნილი თანხის რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 600 000 ლარს. საერთო ჯამში კი 2 229 291 ლარი იქნება გამოყოფილი.

**ნაცმოძრაობის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, აღნიშნული თანხიდან 600 ათასს ლარს მიიღებს ნაციონალური მოძრაობა, 213 912 ათას ლარს — „მრეწველები“, 200 ათასს — 200 ათასს ლარს — „ქრისტიან-დემოკრატები“, „ქრისტიან-დემოკრატიული სახალხო პარტია“ და პაატა დავითაიას „ევროპელი დემოკრატები“, რომლებიც 2010 წლის თვითმმართველობის არჩევნებში ერთ ბლოკში იყვნენ გაერთიანებული. სათითაოდ 117 405 ლარს მიიღებენ „თავისუფალი დემოკრატები“, „მემარჯვენეები“, რესპუბლიკელები და „საქართველოს გზა“, რომლებიც ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე ასევე ერთ ბლოკს შეადგენდნენ. 115 253 — 115 253 ლარს მიიღებენ კონსერვატორები, „ხალხის პარტია“ და „მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის“, რომლებმაც არჩევნებში „ეროვნული საბჭოს“ სახელით მიიღეს მონაწილეობა.**

ხელისუფლება ყველანაირად ცდილობს, რომ ეს გადაწყვეტილება სამართლიანი არჩევნებისთვის გადადგმულ ნაბიჯად შერაცხოს. ამასთან დაკავშირებით განცხადება პარლამენტის თავმჯდომარემაც გააკეთა. დავით ბაქრაძე აცხადებს, რომ პარტიებისთვის ბიუჯეტიდან სატელევიზიო რეკლამისთვის გამოყოფილი თანხები 2012 წლის არჩევნების დემოკრატიულად ჩატარებაში დაეხმარებათ.

მისი თქმით, პოლიტიკურ პარტიებს უნდა ჰქონდეთ თანხები სრულფასოვანი საქმიანობისათვის, რათა ერთმანეთის კონკურენტები იყვნენ და საქართველოში ჩატარდეს თავისუფალი და კონკურენტული არჩევნები.

**„ეს დაეხმარება პარტიებს რეკლამაში, კონკურენციაში და საბოლოო ჯამში, დაგვეხმარება ყველას, რომ 2012 წლის არჩევნები ჩავატაროთ დემოკრატიულად. ამისთვის პარტიებს სჭირდებათ თანხა, რომელიც უნდა იყოს ლეგალური, გამჭირვალე“,** — აღნიშნა ბაქრაძემ

მიუხედავად ამისა, ოპოზიციამ უკვე გააკეთა შეფასებები, რომ ხელისუფლების ეს გადაწყვეტილება სამართლიანი არჩევნების ჩატარებას ვერ უზრუნველყოფს.

„კონსერვატიული პარტიის“ ლიდერი ზვიად ძიძიგური ამ ინიციატივას „საერთაშორისო ორგანიზაციებისა და დამკვირვებლებისთვის თვალში ნაცრის შეყრის მცდელობად“ აფასებს.

როგორც ძიძიგურმა „ინტერპრესნიუსს“ განუცხადა, იმ დრაკონული ცვლილებების შემდეგ, რომელიც ხელისუფლებამ პარტიათა დაფინანსების საკითხებთან მიმართებაში მიიღო საარჩევნო კანონმდებლობაში, **„ასეთი ტიპის ნაბიჯის გადადგმა მცდელობაა იმისა, რომ თითქოს მათ მოფიქრებული აქვთ დემოკრატიული სისტემა არჩევნებში მონაწილე სუბიექტებისათვის“.**

მისი თქმით, ეს ნაბიჯი არ გამოდგება იმ უსამართლობების საპირწონედ, რომელიც მიხეილ სააკაშვილმა და მისმა ხელისუფლებამ ჩაიდინა საარჩევნო კოდექსთან და პარტიების დაფინანსების კანონთან მიმართებაში.

კონსერვატორების ლიდერის აზრით, თუკი ხელისუფლებას სურვილი აქვს, დემოკრატიული მიმართულებით დაიწყოს ცვლილებები კანონმდებლობაში, ამისათვის ძირითად ოპოზიციურ პარტიებთან კონსულტაციები უნდა გამართოს და ამის მიხედვით უნდა მიიღოს მსგავსი ტიპის გადაწყვეტილებები.

**„ამ კოსმეტიკურ ცვლილებებშიც ნაცმოძრაობას საკუთარი ამბიციები და მადა არ ავიწყდება და სხვა პარტიებისგან განსხვავებით, ბიუჯეტიდან ყველაზე მეტ თანხას აიღებს. ეს არის მათი ტრადიციული ხელწერა და ისინი ერთგულები რჩებიან ასეთი მახინჯი ტრადიციის, რომელიც თვითონვე დაამკვიდრეს ქართულ სამართლებლივ სივრცეში“,** — აღნიშნა ძიძიგურმა.

„რესპუბლიკური პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი თინა ხიდაშელი კი ამ ინიციატივას „ღრმად არასერიოზულად“ მიიჩნევს.

**„საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობას, მათ შორის „პოლიტიკური პარტიების შესახებ“ კანონს პოლიტიკაში ბიძინა ივანიშვილის მოსვლის შემდეგ სრული ეროზია დაემართა. ჩვენს ხელისუფლებას ისე შეეშინდა, რომ ვხუმრობ ხოლმე — პარლამენტი ბიძინა ივანიშვილის სახელობის საქმიანობით არის დაკავებული-მეთქი. ასეთი აქა-იქ ამოგლეჯილად გაჟღერებული ინიციატივები საქართველოს ხელისუფლებას ვერ უშველის. ღრმად არასერიოზულია ის, რაზეც პალიკო კუბლაშვილმა ისაუბრა“,** — განუცხადა ხიდაშელმა ჟურნალისტებს.

რაც შეეხება იმას, მიიღებს თუ არა ივანიშვილის პოლიტიკური გუნდი რეკლამისთვის სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებას, ხიდაშელი კომენტარისგან თავს იკავებს და განმარტავს, რომ კონკრეტული გადაწყვეტილება კანონის ამოქმედების შემდეგ გაჟღერდება.

**„ცვლილება კანონში ჯერ არ შესულა. პირობებზე არაფერი თქმულა, ჩარიცხვა მოხდება არჩევნებამდე თუ არჩევნების შემდეგ, ამიტომ კონკრეტულ პასუხს მხოლოდ კანონის მიღების შემდეგ ვიტყვით“,** — აღნიშნა ხიდაშელმა.

ამასთან, მან ყურადღება გაამახვილა ევროსაბჭოს მიერ საქართველოს ხელისუფლებისადმი მოწოდებაზეც, რომ საარჩევნო კანონში ნებისმიერი ცვლილება კონსენსუსის გზით უნდა შევიდეს.

**„ევროსაბჭომ გარკვევით მოუწოდა საქართველოს ხელისუფლებას, რომ ნებისმიერი ცვლილების მიღება უნდა მოხდეს პოლიტიკურ პროცესში მონაწილე ყველა ძალასთან შეთანხმებით. ცალსახად მიღებული გადაწყვეტილებები გარემოს ვერ გააუმჯობესებს“,** — აღნიშნა ხიდაშელმა.

აღსანიშნავია, რომ დაახლოებით ასეთივე პოზიცია აქვს ხელისუფლების მომხრე ოპოზიციასაც.

„ქრისტიან-დემოკრატების“ ერთ-ერთი ლიდერის ლევან ვეფხვაძის შეფასებით, პოლიტიკური სუბიექტებისთვის სატელევიზიო რეკლამის განთავსების ხარჯების დასაფარად დამატებითი თანხების გამოყოფის ინიციატივა ძალიან მცირე ნაბიჯია, რათა პოლიტიკური გარემო უფრო კონკურენტუნარიანი გახდეს.

**ექსპერტთა თქმით, მთავარი კი ის არის, რომ ეს ინიციატივა გაჟღერებულ მიზანს — კონკურენტული საარჩევნო გარემოს შექმნას ვერანაირად ვერ უზრუნველყოფს.**

როგორც ექსპერტი ვახტანგ ხმალაძე განმარტავს, **„დასავლეთის ძალიან ბევრ ქვეყანაში ფასიანი პოლიტიკური რეკლამა საერთოდ არ ვრცელდება, მაგრამ არის უფასო პოლიტიკური რეკლამა, რომელიც შემდეგ ბიუჯეტიდან კომპენსირდება. ოღონდ კომპენსაცია არის თვითღირებულებიდან გამომდინარე და არა კომერციული ფასიდან. სადაც არის უფასო რეკლამასთან ერთად ფასიანი, ფასიანი პოლიტიკური რეკლამის ღირებულება არსად არ აღემატება კომერციული რეკლამის ფასს.**

**საქართველოში კი, ეროვნულ მაუწყებლებში პოლიტიკური რეკლამის ღირებულება არჩევნების პერიოდში 10-14-ჯერ აღემატება კომერციული რეკლამის ღირებულებას და ეს მაუწყებლები თუ ასევე მოიქცევიან საპარლამენტო არჩევნების დროს, მაშინ პრაიმტაიმის დროს რეკლამის ერთი წუთის ღირებულება შეიძლება აღმოჩნდეს 35-40 ათასი დოლარი. თუ ეს ასე მოხდა, მაშინ ეს თანხა, რაც ახლა გამოიყო, სულ რამდენიმე წუთის შესყიდვას ეყოფა“.**

ხელისუფლება კი აცხადებს, რომ ჯერჯერობით სხვა არაფრის შეცვლას არ ფიქრობენ. ეს ყველაფერი კი, ცხადია, იმ მოსაზრებას ამტკიცებს, რომ ეს ცვლილება ხელისუფლებამ მხოლოდ საკუთარი ტელევიზიების დასაფინანსებლად მიიღო. ცხადია, ოპოზიციასაც ექნება გარკვეული თანხა, მაგრამ ამ თანხით მხოლოდ რამდენიმეწუთიანი სარეკლამო დროის ყიდვა შეეძლება და, ცხადია, ამ ფულს გადაიხდის ისეთ ტელევიზიაში, რომელიც მთელი ქვეყნის მასშტაბით ვრცელდება. ამიტომაც ადვილი წარმოსადგენია, რომ ამ ფულის ძირითადი ნაწილი, თუ მთლიანად არა, სწორედ ხელისუფლების კონტროლირებად ტელევიზიებში წავა.

**თეონა ხარაბაძე**

Presage.tv

სეპარატისტები ერთმანეთს წაეჩხუბნენ

## რაულ ხაჯიმბა: „სახალხო კრების, ანუ პარლამენტის მიმართ აფხაზეთის მოსახლეობას აპათია გაუჩნდა“

**აფხაზეთი 10 მარტის სახალხო კრების — პარლამენტის არჩევნების მოლოდინშია. ამჟამად ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში რეგისტრირებულია 3 პოლიტიკური პარტია და 99 საინიციატივო ჯგუფი.**

**არჩევნების თემას მიეძღვნა ახალი თოქ-შოუ აფხაზეთის ტელევიზიაში, რომელშიც მონაწილეობდნენ ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი რაულ ხაჯიმბა, ყოფილი გენერალური პროკურორი ანრი ჯერგენია, ამჟამინდელი პარლამენტის ვიცე-სპიკერი ირინა აგრბა და მმართველი პარტიის „ერთიანი აფხაზეთის“ თავმჯდომარე დაურ თარბა...**

**თოქ-შოუში ითქვა, რომ აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარების შემდეგ ეს არის პირველი საპარლამენტო არჩევნები და აუცილებელია მისი მაღალ დონეზე ჩატარება. ამ თოქ-შოუში ძალიან აგრესიული და კრიტიკული იყო რაულ ხაჯიმბა. მას მხარი აუბა ანრი ჯერგენიამ და იმათ შემოტევებს იგერიებდნენ ირინა აგრბა და დაურ თარბა.**

**— ყოველი არჩევნები აფხაზეთში მიმდინარეობდა ანტიკონსტიტუციურად. მე მრავალი შენიშვნა გავუგზავნე პარლამენტს, მაგრამ, არც ერთი არ იქნა გათვალისწინებული. განსაკუთრებით აღმაშფოთებელია დამატებით სიებთან დაკავშირებული ვითარება. ეს ყოველი არჩევნების შემდეგ, რატომღაც, სულ 20 000 კაცია... ჩემი მოთხოვნა იყო, რომ ეს 20 000 ამომრჩეველი დაემატებინათ ახალი სიებისთვის — აღნიშნა რაულ ხაჯინბამ.**

**რაულ ხაჯიმბას დაეთანხმა ანრი ჯერგენიაც. „იყო შემთხვევა, როცა 11 000-მა ამომრჩეველმა ორჯერ მისცა ხმა. არჩევნების შემდეგ ის დამატებითი 20.000 ამომრჩევლის პასპორტი სადღაც გაქრა. ვის არ მივმართე, დაედგინათ, თუ სად წავიდა პასპორტები, მაგრამ დღემდე პასუხი ვერ მივიღე. ალბათ, მათ ისევ გამოიყენებენ მომავალ არჩევნებში“ — განაცხადა ანრი ჯერგენიამ.**

**აფხაზეთის მოსახლეობაში გავრცელებულია მოსაზრება, რომ იმათი სახალხო კრება — პარლამენტი არის უფუნქციო, უმოქმედო. „ბევრი იმიტომ მიდის პარლამენტში, რომ საკუთარი ცხოვრება მოიწყოს, ამიტომაც, სახალხო კრების — პარლამენტის მიმართ აფხაზეთის მოსახლეობას აპათია გაუჩნდა. აუცილებელია პარლამენტში მოვიდნენ პროფესიონალები“, — განაცხადა რაულ ხაჯიმბამ. ანრი ჯერგენია მას ამ საკითხშიც სრულად ეთანხმება. „პარლამენტი რომ უფუნქციო და ქმედუუნაროა, მე ამას დიდი ხანია გავიძახი... 2009 წლიდან რუსეთსა და აფხაზეთს შორის ხელი მოეწერა 50-მდე დადგენილებას, რომელსაც რატიფიკაცია უნდა გაუკეთოს პარლამენტმა. 30-მდე ასეთი დადგენილება დევს რატიფიკაციის გარეშე“, — სინანულით თქვა ბოლოს ანრი ჯერგენიამ.**

**ლადო ქირია,**
ზუგდიდიდან.

## რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# რას აირჩევს საქართველოს ლიდერი, მიბაძავს პუტინს, თუ თავის ხალხს მიენდობა?

**მოკავშირესთან ურთიერთობა ადვილია. იგივე ითქმის მტერზეც. ყველაზე რთული საგარეო პოლიტიკური პრობლემა კი არაპროგნოზირებად პარტნიორთან ურთიერთობაა — მან ზიანიც შეიძლება მოგაყენოს და კარგიც გაგიკეთოს. საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ამ კატეგორიას განეკუთვნება.**

სააკაშვილი ახალგაზრდა, დინამიურ, დასავლური განათლების მქონე მთავრობას უდგას სათავეში. ეს მთავრობა სამოკავშირეო ძალისხმევისთვის ავღანეთში ჯარს აგზავნის და რამდენიმე შთამბეჭდავი რეფორმის ავტორიცაა. საქართველომ ისეთ საჯარო სტრუქტურებში, როგორიცაა პოლიცია და უნივერსიტეტები, კორუფცია გაანადგურა და ეს ფაქტი მისი პოსტ-საბჭოთა მეზობლებისთვის შთამბეჭდავი მაგალითია.

მაგრამ სააკაშვილი არასტაბილური ლიდერია, ისეთი, რომელიც მუდმივ ყურადღებას ითხოვს. 2008 წელს, მან მცდარად გაიგო ვაშინგტონის გზავნილები, რომლის თანახმად, მას აშშ-ის მტკიცე მხარდაჭერა ჰქონდა, მაგრამ სეპარატისტული რეგიონების — აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის — გამო მოსალოდნელი კონფრონტაციისგან მოსკოვთან თავი შორს უნდა დაეჭირა. შედეგად, მან საქართველო რუსეთთან კატასტროფულ და იმთავითვე წამგებიან ომში შეიყვანა. როდესაც მისმა დასავლელმა მოკავშირეებმა, გასაგები მიზეზების გამო, მის დასახმარებლად ბრძოლაში ჩაურევლობა არჩიეს, სააკაშვილი ღალატზე ალაპარაკდა.

2008 წლის ომის შემდეგ, საქართველოს პრეზიდენტის რეპუტაცია შელახული იყო და დასავლეთის დედაქალაქებში მას მაღალ დონეზე აღარ იღებდნენ. მაგრამ მან ძალიან ბევრი იშრომა იმისთვის, რომ შინაც და გარეთაც რეაბილიტაციისთვის მიეღწია. მიმდინარე კვირას მას ოვალურ კაბინეტში მიიღებენ, დიდწილად მადლიერების ნიშნად, რადგან საქართველომ თანამშრომლობა გადაწყვიტა და უარი თქვა ვეტოს უფლებაზე მოსკოვის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში გაწევრებისას. ამ ორგანიზაციაში შესვლას მოსკოვი დიდი ხნის განმავლობაში ცდილობდა.

პრეზიდენტ ობამას, თეთრ სახლში შეხვედრა, იმის შესაძლებლობას მისცემს, რომ სააკაშვილის ნატურის საუკეთესო მხარეს მიმართოს და პოლიტიკური გარდამავლობის წელს პასუხისმგებლობისკენ მოუწოდოს.

დღევანდელი საქართველო, ისევე როგორც რუსეთი, არსებითად ერთპარტიული ქვეყანაა, სადაც მცირერიცხოვანი ელიტა აკონტროლებს აღმასრულებელ ხელისუფლებას, პარლამენტს, რეგიონულ მთავრობებსა და სამ ეროვნულ ტელეარხს. სასამართლო სისტემა თავისუფალი არ არის. ანტიკორუფციული და ანტიკრიმინალური კამპანიის ბნელი მხარე საქართველოში ის არის, რომ მან ფართო ძალაუფლება გადასცა მრავალრიცხოვან პოლიციურ ძალებს, რომლებიც ანგარიშვალდებულნი არ არიან. ქვეყნის ციხეები სავსეა ბევრი ისეთი პატიმრით, რომელიც იქ არ უნდა იყვნენ; 2011 წელს საქართველო, ერთ სულ მოსახლეზე გათვლით, პატიმრების რაოდენობით მსოფლიოში მეოთხე ადგილზე აღმოჩნდა.



ბოლო დრომდე, მმართველ ელიტას არ ჰყავდა სერიოზული ოპოზიცია და ის წყნარად ელოდა გამარჯვებას წლევანდელი და მომავალი წლის პარლამენტის და პრეზიდენტის არჩევნებში. მაგრამ შარშან წელს ის მოულოდნელი პრობლემის წინაშე აღმოჩნდა — პოპულარულმა ქართველმა მილიარდერმა ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, რომ ის პოლიტიკაში, ოპოზიციაში მოდის. მისმა დემარშმა მობილიზება გაუკეთა ქართველთა იმ დიდ სეგმენტს, რომელიც დაღალა დღევანდელი ადმინისტრაციის ეკონომიკურმა პოლიტიკამ და მისმა დომინირებამ პოლიტიკურ არენაზე.

ბიძინა ივანიშვილთან, ექსცენტრულ ბიზნესმენთან დაკავშირებით, რომელმაც ფული 1990-იანი წლების რუსეთში იშოვა და პოლიტიკაში ჯერ არავის გამოუცდია, ნამდვილად არსებობს კითხვები, მაგრამ მთავრობის რეაქციამ ივანიშვილის გამოჩენაზე, მისი ყველაზე მახინჯი ინსტინქტები გამოამზეურა: ივანიშვილს იურიდიული ფორმალობის საფუძველზე ჩამოართვეს პასპორტი, მის ბანკს, ფულის გათეთრების ბრალდებით, სასტიკად დაესხნენ თავს. პრო-სამთავრობო მედია უხეშად მოიხსენიებს ივანიშვილს რუსეთის მარიონეტად, რაც ნაკლებად სარწმუნოა, რადგან მან თავის მთავარ პოლიტიკურ მოკავშირეებად საქართველოს ყველაზე პრო-დასავლელი პოლიტიკოსები აირჩია.

სააკაშვილმა დღემდე ვერ ჩააბარა დემოკრატიის ეს გამოცდა. მალე მას უფრო დიდი გამოცდა ელის. 2004 წელს სააკაშვილმა საქართველოს კონსტიტუცია საკუთარი აღმასრულებელი ძალაუფლების განსამტკიცებლად შეცვალა. შარშან, მაშინ, როდესაც მოახლოვდა მისი მეორე და საბოლოო ვადის ამოწურვის დრო (2013 წლის დასაწყისიძ, სააკაშვილმა ისევ შეცვალა ქვეყნის ძირითადი კანონი, იმის უზრუნველსაყოფად, რომ, როდესაც პრეზიდენტის თანამდებობას დატოვებს, მისი ძალაუფლების უმეტესი ნაწილი ახალ და ძლიერ პრემიერ-მინისტრს გადაეცეს. შინაც და გარეთაც ისეთი ვარაუდი გაჩნდა, რომ სააკაშვილი ცდილობს, პუტინს მიბაძოს და პრემიერ-მინისტრის პოზიცია ჩაიბაროს.

სააკაშვილი პასუხს კითხვაზე, თუ რამდენად აპირებს თანამდებობის გაცვლას, თავს არიდებს.

აი ასეთია საქართველოს მორიგი დიდი გამოცდა. თუ სააკაშვილი, მისი ვადის დასრულების შემდეგ, თანამდებობის ლამაზად დატოვებას მოახერხებს და მის შემდეგ საქართველოში უფრო პლურალისტური ხელისუფლების ჩამოყალიბების შესაძლებლობას გააჩენს, მაშინ ის, მთელ ყოფილ საბჭოთა ქვეყნებს, რუსეთის ჩათვლით, კარგ მაგალითს მისცემს, თუ არადა ვაშინგტონს საქართველოში პრობლემატური პარტნიორი ეყოლება.

**თომას დე ვაალი**

washingtonpost.com

# ანტისარაკეტო ფარზე ყველა ტყუის

**The Faster Times-ის ინფორმაციით, „ანტისარაკეტო ფარზე ყველა ტყუის“. ამის შესახებ საუბარია ანალიტიკოს ნიკოლას კლეიტონის სტატიაში, რომლის ქართულ ვერსიას ორეიგნპრესსი აქვეყნებს.**

„2006 წლის შემდეგ რუსეთს და შეერთებულ შტატებს ევროპაში ნატოს სარადარო და სარაკეტო სისტემის განთავსებასთან დაკავშირებულ გეგმაზე დიპლომატიური ბრძოლა აქვთ გაჩაღებული. შეერთებული შტატები და ნატო ამტკიცებენ, რომ ევროპული „ანტისარაკეტო ფარი“ იმისთვის იქმნება, რომ ირანიდან ან ჩრდილოეთ კორეიდან მომავალი ბირთვულქობინებიანი ბალისტიკური რაკეტები გააუვნებელყოს. რუსეთი ამტკიცებს, რომ ნატო რუსეთის სტრატეგიულ ბირთვულ შეკავებას ძირს უთხრის. თურქეთი ამტკიცებს, რომ არც ერთი ეს ვერსია მართალი არ არის, ყველა მათგანი ნაწილობრივ ტყუის და მათ ეს იციან“, — წერს კლეიტონი და ამის მიზეზებსაც განმარტავს.

„ჯერ ერთი, თავდაპირველად ნატო პოლონეთში — 10 რაკეტსაწინააღმდეგო დანადგარის, ხოლო ჩეხეთში ერთი რადარის განთავსებას გეგმავდა — ნატოს ქვეყნების ახლო აღმოსავლეთისგან დასაცავად ძალიან საინტერესო ადგილია. ეს ადგილი არა უშუალოდ ევროპასა და ირანს შორის, არამედ უფრო ჩრდილო-აღმოსავლეთ ევროპაში, რუსეთის კალინინგრადის ანკლავთან და რუსეთის კლიენტი სახელმწიფოს, ბელარუსის საზღვართან მდებარეობს. იმავდროულად, „რესპუბლიკელების“ საპრეზიდენტო კანდიდატი ჯონ მაკკეინი, რომლის კამპანიის ნაწილიც სწორედ ანტისარაკეტო თავდაცვის თემა იყო, აცხადებდა, რომ ფარი აუცილებელია. მას შემდეგ, რაც შეერთებული შტატების პრეზიდენტად ბარაკ ობამა აირჩიეს, ახალმა ადმინისტრაციამ დაგეგმილი ანტისარაკეტო ფარი სამხრეთისკენ გადააადგილა და მოდიფიცირება გაუკეთა: ახალი გეგმის თანახმად, ხომალდებზე ბაზირებული დანადგარები შავ ზღვაში განთავსდება და, საბოლოოდ, რუმინეთში განთავსებულ ინტერცეპტორებს და თურქეთში დისლოცირებულ რადარს შემოიერთებს. იმავდროულად მან პროექტში მონაწილეობა რუსეთსაც შესთავაზა. რუსეთმა განაცხადა, რომ ანტისარაკეტო ფართან დაკავშირებულ პროექტში მონაწილეობას ორი პირობით მიიღებს: 1. ის სისტემის სრულფასოვანი პარტნიორი იქნება და მის მოქმედებას სხვებთან ერთად გააკონტროლებს; 2. ნატო ხელს მოაწერს იურიდიულ გარანტიებს იმის თაობაზე, რომ ანტისარაკეტო ფარი რუსეთის წინააღმდეგ არასდროს იქნება გამოყენებული. დღეის მდგომარეობით, ნატო რუსეთის ორივე პუნქტს უარყოფს იმ მოტივით, რომ მას სურს, უფლება დაიტოვოს, ანტისარაკეტო ფარი საკუთარი სურვილისამებრ გამოიყენოს.

ამ თვეში ევროკავშირმა ირანის ნავთობზე ემბარგოს შემოღების საკითხიც კი წინმსწრებად განიხილა — ნაბიჯი, რომლის რეალიზაციაც ისედაც კრიზისში ჩაფლულ დასავლურ ეკონომიკებში ნავთობის ფასების მკვეთრ ზრდას გამოიწვევდა. ამ აბსურდულ დისკუსიას თურქეთმა დამატებითი გაუგებრობა შესძინა. თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა აჰმეტ დავითოღლუმ თეირანში განაცხადა, რომ ანტისარაკეტო ფარი ირანისთვის საფრთხეს არ წარმოადგენს და ნატოს რადარი თურქეთის ტერიტორიაზე რაღაც სხვა გაურკვეველ მიზნებს ემსახურება. ანუ, საბოლოო ჯამში, გამოდის, რომ რუსეთმა ანტისარაკეტო თავდაცვის სისტემის შექმნასთან დაკავშირებული ნატოს განზრახვა გააპროტესტა — სისტემის, რომელიც ახლა არ მუშაობს და რომელიც მას საფრთხეს ვერც შეუქმნიდა.

მისივე აზრით, „მაშინ, როდესაც თურქეთს და რუსეთს საკუთარი მიზნები ამოძრავებთ (რუსეთს სურს, ნატოს ბაზები მისგან რაც შეიძლება, შორს იყოს, ხოლო თურქეთს ირანთან კარგი მეზობლური ურთიერთობების სიმულირება მაინც უნდაძ, სწორედ ნატოა ის სუბიექტი, რომლის პოზიციაც მთელს ამ ფარსში ყველაზე გაუგებარია“.

„ცხადია, რომ ეს გაჭიანურებული დებატები რეალურად სამხედრო შესაძლებლობებს არ უკავშირდება, საქმე ნდობასა და ანტისარაკეტო ფართან დაკავშირებულ რიტორიკაშია, რაც რუსეთ-ამერიკის ურთიერთობებში 1980-იანი წლებიდან დომინირებდა, როდესაც რეიგანმა „ვარსკვლავური ომების“ პროგრამის იდეა პირველად წარმოადგინა. როდესაც ბუში გეგმის წამოწევას შეეცადა, რუსეთმა ფრონტის ხაზი გახსნა. როდესაც ობამამ მოსკოვს მშვიდობის ხელი გაუწოდა, რუსეთმა განაცხადა, რომ პროგრამაში ჩაერთვებოდა და ოპტიმიზმსაც კი გამოხატავდა, რომ შესაძლო კომპრომისი მსოფლიოს უშიშროებას უზრუნველყოფდა. ერთი წლის შემდეგ ჩვენ კვლავ აბსურდს დავუბრუნდით. თუკი კრემლი და პენტაგონი საკუთარი ეგოს და ხმლების გვერდზე გადადებას შეძლებენ ისინი ხანგრძლივი სტაბილურობისა და სრული საერთაშორისო ბირთვული განიარაღებისთვის საფუძვლის მომზადებას მოახერხებენ“, — წერს The Faster Times...

**ნინო ჩიჩუა**

„პირველი“

## დედამიწის ზურგზე



**ბრიტანეთში გადაწყდა, მოუხსნან საიდუმლოება სპეცსამსახურების დოკუმენტებს, რომლებიც შუქს ჰფენენ ლიტვინენკოს მკვლელობის საიდუმლოებას**

ასეთი თხოვნით მიმართა კორონერის სასამართლოს მოსამართლე-გამომძიებელმა ენდრიუ რიდმა, რომელიც აწარმოებს ლიტვინენკოს მკვლელობის გამოძიებას. მან გადაწყვიტა შეამოწმოს, მართლა „ვლადიმერ პუტინის აშკარა კრიტიკის გამო მოკლეს თუ არა“ უშიშროების ფედერალური სამსახურის ექსთანამშრომელი.

* * *

**„კოსტა კონკორდიას“ ზედაპირზე ამოიყვანენ დახლოებით ერთი წლის განმავლობაში, მთავარი ამოცანაა — არ დაუშვან საწვავის გადმოღვრა**

ამოსატუმბია 2,3 ათასი ტონა დიზელის საწვავი, რომელიც ჯერ კიდევ ლაინერის ავზებშია. სამუშაოები დაიწყო გასულ პარასკევს, მაგრამ შტორმის გამო ამოტუმბვა გადაიდო. სათბობის დაღვრამ შეიძლება საზღვაო ეროვნულ პარკში ეკოლოგიური კატასტროფა გამოიწვიოს.

* * *



**„კონკორდიას“ მე-17 მსხვერპლი: პერუელმა ოფიციანტმა გოგონამ თავისი სამაშველო ჟილეტი ხანდაზმულ ქალს გადასცა**

თვითმხილველთა სიტყვებით, გოგონა უკანასკნელ მომენტამდე ეხმარებოდა მგზავრებს ჩამსხდარიყვნენ კანჯოებში. გემის დაღუპვის შედეგების თავიდან ასაცილებლად, იტალიის კუნძულ ჯილიოს სანაპიროზე საჭირო გახდება 7-დან 10 თვემდე პერიოდი. ავზებიდან საწვავის ამოტუმბვის სამუშაოთა დაწყების ვადები იცვლება.

* * *

**ოკლენდში დაპატიმრებულ „დამპყრობელთა“ რიცხვმა 400 კაცს გადააჭარბა**

მოძრაობის „ხელში ჩაიგდე უოლ სტრიტი“ — მომხრეთა გამოსვლები, რომლებიც 29 იანვარს ღამით ოკლენდში უწესრიგობასა და პოლიციასთან შეტაკებაში გადაიზარდა, დამთავრდა ამ ქალაქის ისტორიაში ყველაზე მასობრივი დაპატიმრებებით. ქალაქი კალიფორნიის შტატის ჩრდილოეთითაა.



ახალი წიგნები

# „ღირსია, ძმაო, შებრალებისა, ის უბედური ჩვენი ქვეყანა!“

**ხელმეორედ გამოიცა მწერლისა და პუბლიცისტის ციალა არდაშელიას წიგნი „ყვირილი გვმართებს ღლისით, მზისით“, რომელიც სხვადასხვა დროს დაწერილი გამოქვეყნებული თუ გამოუქვეყნებელი ისტორიულ-მხატვრული ნარკვევების კრებულია.**




წიგნში მოთხრობილია მესხეთის, აჭარის, ლაზეთის, აფხაზეთ-სამეგრელოს ისტორიულ-კულტურული ვითარება უძველესი დროიდან დღემდე.

ვინც ქალბატონ ციალა არდაშელიას და მის მართალ სტრიქონებს იცნობს, აუღელვებლად ვერც ამ ისტორიულ-მხატვრულ ნარკვევებს წაიკითხავს — მწერალი კიდევ ერთხელ გვიცოცხლებს სისხლითა და ცრემლით დაწერილ საქართველოს ისტორიას, თანამედროვეობას უკავშირებს და ამ ისტორიის მეცნიერივით თავადაც!..

წიგნს რეფრენივით გასდევს: „ქვანიც კი ღაღადებენ, თუ ვინ ვართ ჩვენ!“.. და ქართული ფასკუნჯის სახება — მუდმივი აღორძინების იდეა!..

მწერალთან ერთად ვმოგზაურობთ კოლხეთ-ლაზეთის, სხალთა-აჭარისწყლის მიწაზე... ჩვენს თვალწინ გაიელვებს ავბედითობით აღსავსე ეპოქები, ბრძოლები, აჯანყებანი, გასახლებანი... საქართველო მუდამ გოლგოთის გზას გადიოდა...

„ლაზეთი... ძველი და მოუშუშებელი იარა ჩვენი ერის სხეულზე, მისი დაცემა-დაკნინების უტყუარი საბუთი, მისი დაშლა-დაქცევის გულისშემძვრელი მაგალითი.

აღზევების ჟამს ჩვენი დიდი მეფეები გრძნობდნენ ამ იარის სიმწვავეს და ცდილობდნენ, გაეწვდინათ დახმარების ხელი მოძმეთათვის, მაგრამ დროის მცირეოდენი მონაკვეთიღა არგუნა ბედმა საქართველოს ამ ისტორიული მისიის შესასრულებლად. მერე ისევ აიწეწდაიწეწა ყველაფერი, ისევ უკუღმა დატრიალდა ბედის ჩარხი და ნელ-ნელა, ხან ერთი ნაწილი ეკარგებოდა, ხან — მეორე მთლიან სხეულს. მერე ამ დარღვეული სხეულის გულის გადასარჩენად იყო სამკვდრო-სასიცოცხლო ჭიდილი გამართული“, — წერს ავტორი.

ამ წიგნში გოდებს ლაზეთი — საქართველოს მოკვეთილი მარჯვენა, აჭარა და კლარჯეთი, შავშეთი, აფხაზეთი, სამურზაყანო... თან გვდევს „უბედური ქვეყნის ყმის“ გიორგი შარვაშიძის ამონაკვნესი: „ღირსია, ძმაო, შებრალებისა, ის უბედური ჩვენი ქვეყანა!“... კითხულობ წიგნს და რწმუნდები, რომ ისტორია ისევ მეორდება, დაგლეჯილ-დანაწევრებული საქართველოს სხეული გადასარჩენია, მისი გული კი — მისუსტებულად ფეთქავს.

მწერალი ღალატისა და გმირობის მატიანის ფურცლებს გადაგვიშლის უძველესი დროიდან დღემდე და ყოველ სტრიქონში გვაფრთხილებს, ზარებს არისხებს, რომ კვლავაც ფხიზლად ვიყოთ. თეიმურაზ მიბჩუანის შეფასებით: „მწერალს მოაქვს საინტერესო ცნობები ლაზების შესახებ, მოხმობილი აქვს ლაზური ფოლკლორული მასალა, რომელიც ძირითადად ამ კუთხის ბედკრულ წარსულზე მოგვითხრობს. შესანიშნავადაა ავტორისეული პოზიცია გამაგრებული ანტიკური თუ შუა საუკუნეების ავტორთა ცნობით. ის ბრწყინვალედ იცნობს ქართულ და უცხოურ წყაროებს, რაც საშუალებას აძლევს თავის მწერლურ ფანტაზიას ხორცი შეასხას და ნაწარმოები უფრო ძარღვიანი, შინაარსიანი და მიმზიდველი გახადოს. ამიტომაც ყველა ნარკვევი დიდი ინტერესით იკითხება“.

ეს წიგნი ყველა ქართველმა უნდა წაიკითხოს, განსაკუთრებით — ახალგაზრდებმა, რათა ჩაუღრმავდნენ ჩვენს დიდებულ წარსულს, ხსოვნა ისტორიისა გადაგვარჩენს, და არა — დავიწყება, გადაჯიშება... სწორედ ახლა, ამ წუთას უნდა ვიფხიზლოთ. ყვირილი გვმართებს ღლისით, მზისით!

**თამარ შაიშმელაშვილი**

მოგვმართავენ, გვეკითხებიან

**რუბრიკას უძღვება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი.**

**კითხვა: 10 წელია, ვმუშაობ შპს-ში მაღალ ხელფასზე, ჩამეთვლება თუ არა აღნიშნული შრომის სტაჟში?**

**კონსტანტინე გიორგაძე**

**პასუხი:** მოქმედი კანონის თანახმად, კერძო სტრუქტურაში მუშაობა შრომის სტაჟში ჩაგეთვლებათ.

* * *

**კითხვა: ვმუშაობ ერთ-ერთ დაწესებულებაში მთავარ ბუღალტრად, როგორც გავიგეთ, ცვლილებები შევიდა დეკრეტული შვებულების ანაზღაურების საკითხში. გთხოვთ, გამარკვიეთ, ვის უნდა მიმართოს ორსულმა დახმარების მისაღებად და რა ევალება დაწესებულებას ამ საკითხის დროულად გადასაწყვეტად?**

**ელენე ნორაკიძე**

**პასუხი:** დახმარებისა და კომპენსაციის გაცემის წესში ცვლილებები შევიდა ჯერ კიდევ 2006 წლის 29 დეკემბერს. რაც შეეხება თქვენთვის საინტერესო საკითხს, დასაქმებული (მოსამსახურე) დახმარების ან/და კომპენსაციის მისაღებად საავადმყოფო ფურცელს (ასლთან ერთად) წარუდგენს დამსაქმებელს (დაწესებულებას) და ითხოვს ანაზღაურებად შვებულებას ორსულობის, მშობიარობის და ბავშვის მოვლის გამო, რის საფუძველზეც დამსაქმებელი, დაწესებულება ავსებს საავადმყოფო ფურცლის შესაბამის ნაწილს, რომელსაც დაფინანსების განაცხადთან და დასაქმებულის (მოსამსახურის) პირადობის მოწმობის ასლთან ერთად წარუდგენს დამსაქმებლის (დაწესებულების) იურიდიული მისამართის ადგილსამყოფელის მიხედვით სოციალური მომსახურების სააგენტოს შესაბამის სერვისცენტრს (განყოფილებას).

**მოგვმართეთ, შეგვეკითხეთ: 299-62-77.**

# ტკივილიანი ღაღადისი

**ამ წიგნის ავტორმა — მწერალმა-დოკუმენტალისტმა რევაზ კვერენჩხილაძემ თავად განიცადა საბჭოთა რეჟიმის და, განსაკუთრებით, ავადსახსენებელი 1937 წლის საშინელებებით მიყენებული ტკივილი — დაუპატიმრეს და დაუხვრიტეს მამა, როგორც სამშობლოს მოღალატის ოჯახის წევრი, 8 წელიწადს შორეულ შრომა-გასწორების ბანაკში სასჯელს იხდიდა დედა და, ბევრი თანატოლის დარად, ულუკმაპუროდ და წვალებით იზრდებოდა — მშობლებს მონატრებული, სითბოს მონატრებული...**




მაგრამ ღმერთი არ გასწირავსო, და რეზოც, კეთილი ადამიანების შემწეობით, მამულის წარსულითა და აწმყოთი დაინტერესებულ, სიმართლისმოყვარულ პიროვნებად ჩამოყალიბდა, უნივერსიტეტდამთავრებული ნიჭიერი ფილოლოგი, შემთხვევით, საქართველოს მწერალთა კავშირის აპარატში იწყებს სამსახურს, ათეული წლების განმავლობაში იყო გამგე მწერალთა კავშირის ბიბლიოთეკისა, სადაც 1937 წლით დათარიღებული, „დაუმორჩილებელ“ მწერალთა მრავალი „საქმე“ ინახებოდა.

ჰოდა დაიწყო, ყოველივე ამ დოკუმენტების ჩუმ-ჩუმად თვალიერებით დაიწყო...

დღეს კი, უკვე, ბატონი რევაზ კვერენჩხილაძე 1917 წელს დაარსებული საქართველოს მწერალთა კავშირის მეისტორიე-მემატიანედ გვევლინება. მწერალთა კავშირის, ლიტერატურის მუზეუმის ხელმძღვანელების და მრავალი გულანთებული კოლეგისა და მეგობრის დახმარებით რევაზ კვერენჩხილაძემ უკვე გამოსცა რამდენიმე დიდად საინტერესო გამოკვლევა, რომელთაგან გამორჩეულია ორტომეული „წამების გზა“, რომელსაც, გულგრილად მართლაც ვერ გაეცნობა მკითხველი. მაგრამ, ბატონი რეზო, უკვე 80 წელს გადაცილებული, ოღონდ მუდამ შემართული, ისე როგორ გაჩერდებოდა, რომ სულ სტრიქონ-სტრიქონ არ „დაედო“, რაც გამოცემულ წიგნებს დააკლდა... ჰოდა, უკვე მეორედ გამოსცა „საბუთები ღაღადებენ“ შევსებული, გადამუშავებული, ათას საბუთ-დოკუმენტდამატებული, რომლებიც, სწორედაც რომ ტკივილიანად ღაღადებენ, ტკივილით მოგვითხრობენ საბჭოთა წყობილების სისასტიკეზე. ამ ნაშრომს დოკუმენტური რომანი უწოდა ცნობილმა მწერალმა და ლიტერატურათმცოდნემ როსტომ ჩხეიძემ ამ რამდენიმე დღის წინათ ლიტერატურის მუზეუმში რევაზ კვერენჩხილაძის წიგნის წარდგენისას. სხვათა შორის, როსტომ ჩხეიძე რედაქტორია, ამ წიგნისა, ხოლო რეცენზენტები არიან გელა საითიძე და გოგი ციციშვილი.

წარდგენაზე როსტომ ჩხეიძისა და ბატონ ილამაზ მიწიშვილის შთამბეჭდავი გამოსვლის შემდეგ თავად რეზო კვერენჩხილაძე ესაუბრა დარბაზს, ესაუბრა კი არა, რომ არავინ გამორჩენოდა, დაწერილი სიტყვა წაგვიკითხა და მთელ ნახევარ საათს, მადლიერი ავტორი, იმ გვარსახელებს ასახელებდა, რომლებსაც ოდესღაც კეთილი სიტყვა უთქვამთ მის შრომატევად და მიზანმიმართულ საქმიანობაზე და, რომლებიც ამ წიგნის გამოცემაში დაეხმარნენ.

და „დაიდო“ წიგნი, რომელიც ტკივილითაა დაწერილი და სწორედაც უნდა წაიკითხოს ყველამ, ვისაც სამშობლოსა და მშობლის წარსული აწუხებს.

**ვილენ მარდალეიშვილი**



ძიუდო

# ზომიერება საქმეს წაადგება



**თბილისის სპორტის სასახლეში გამართულ მსოფლიოს თასის გათამაშებაში ტატამის ქართველმა ოსტატებმა 15 მედალი მოიპოვეს (6 „ოქრო“, 5 „ვერცხლი“ და 4 „ბრინჯაო“), მაგრამ, ვიმედოვნებთ, უხვი ნადავლი ზოგზოგიერთებს თვალზე ლიბრს არ გადააკრავს და ეიფორიაში არ ჩააგდებს, რადგან საქართველოს დედაქალაქში კიმონოიანთა ელიტა არ ჩამოსულა.**

მათმა ნაწილმა კარსმომდგარი ოლიმპიადის წინ შესაძლო ტრავმებს აარიდა თავი, ნაწილი კი მწვრთნელებმა სეზონის სტარტზე ზედმეტი დატვირთვისგან დააზღვიეს და ისინი უმნიშვნელოვანესი ფორუმის სარეიტინგო ქულების მოგროვებას მომავალ სალიცენზიო ტურნირებში შეეცდებიან.

თუმცა, გასულ უქმეებზე ერთი აღსანიშნავი ფაქტი მაინც მოხდა — აქტიურ სპორტში ოლიმპიური ჩემპიონი ზურაბ ზვიადაური დაბრუნდა, რომელმაც ეს ამბავი მესამე ადგილის დაკავებით აღნიშნა. სამწუხაროა, რომ ათენის თამაშების გმირს კარიერის გაგრძელებისთანავე მხრის ძველი ტრავმა გაუმიზეზდა და სარბიელიდან პირდაპირ საავადმყოფოში გააქანეს. როგორც მოგვიანებით გაირკვა, მისი ტრავმა შედარებით მსუბუქი აღმოჩნდა და ვარჯიშს რამდენიმე დღეში განაახლებს. ასე რომ, ალბათ, 4-5 თებერვალს იგი პარიზის „მასტერსზეც“ იჭიდავებს.

**კვარცხლბეკი**

**60 კგ.** 1. ბეთქილ შუკვანი (საქართველო), 2. არტიომ არშანსკი (ისრაელი), 3. ლუდოვიკ ჩამარტინი (შვეიცარია), აშხატ ტელმანოვი (ყაზახეთი).

**66 კგ.** 1. ლაშა შავდათუაშვილი, 2. სანდრო იაკობაშვილი (ორივე — საქართველო), 3. იესპერ დე იონგი (ჰოლანდია), გოლან პოლაცკი (ისრაელი).

**73 კგ.** 1. ნუგზარ ტატალაშვილი, 2. თენგიზ პაპოშვილი, 3. ზებედა რეხვიაშვილი (სამივე — საქართველო), ვეი ლიუ (ჩინეთი).

**81 კგ.** 1. ავთანდილ ჭრიკიშვილი, 2. ბექა ღვინიაშვილი, 3. ლევან წიკლაური (სამივე— საქართველო), იოახიმ ბოტიე (ბელგია).

**90 კგ.** 1. ვალერი ლიპარტელიანი (საქართველო), 2. კაროლის ბაუზა (ლიტვა), 3. ზურაბ ზვიადაური (საქართველო), დმიტრი გერასიმენკო (სერბეთი).

**100 კგ.** 1. დმიტრი პეტერსი (გერმანია), 2. იოსებ მსხალაძე, 3. ირაკლი ქობლიანიძე (ორივე — საქართველო), მარტინ პაცეკი (შვედეთი).

**+100 კგ.** 1. ადამ ოქრუაშვილი, ზვიად ხანჯალიაშვილი (ორივე — საქართველო), 3. გრჟეგოჟ ეიტელი (პოლონეთი), ანგელ პარა (ესპანეთი).

ფიგურული სრიალი

# გმადლობთ, ელენე!



**ელენე გედევანიშვილმა გაიმეორა 2010 წლის მიღწევა და ინგლისის ქალაქ შეფილდში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.**

22 წლის ქართველმა მოციგურავემ ჯამში 165,93 ქულა მოაგროვა, რაც მის კარიერაში საუკეთესო შედეგია. ამით ჩვენმა თანამემამულემ მოქილიკეებს კიდევ ერთხელ დაუმტკიცა, რომ მისი შარშანწინდელი წარმატება სავსებით ლოგიკური მოვლენა იყო და არა ყარაულის თოფის ერთხელ გავარდნა.

დავძენთ, რომ კონტინენტის ჩემპიონი მეოთხედ გახდა იტალიელი კაროლინა კოსტნერი, ხოლო მეორე ადგილი ფინელმა კიირა კორპიმ დაიკავა.

ტრიუმფი

# სერბული „დუბლი“

**გინდ თეთრი უწოდეთ, გინდ ნებისმიერი სხვა ფერი, მაგრამ შური მაინც შურია.**

**ჰოდა ის, რაც ამ კვირა დღეს მოხდა, მართლაც რომ შესაშური ამბავია, განსაკუთრებით ჩვენისთანა პატარა ქვეყნის შვილებისთვის.**

კი, მაგრამ, რაშია საქმეო, იკითხავთ, ალბათ და გპასუხობთ: ასეთივე მცირეგაბარიტიანი ბალკანური სახელმწიფოს — სერბეთის ქვეშევრდომებმა ერთბაშად უმაღლესი რანგის ტურნირების სამ ფინალში ითამაშეს და მათგან ორი მოიგეს!

**წყალბურთი. ევროპის ჩემპიონატი.** სერბეთი — ჩერნოგორია 9:8.

**ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა.** ნოვაკ ჯოკოვიჩი —



რაფაელ ნადალი 3:2 (5:7, 6:4, 6:2, 6:7, 7:5).

**ხელბურთი. ევროპის ჩემპიონატი.** სერბეთი — დანია 19:21 (ბელგრადში).

როგორც შედეგები მოწმობს, თითოეულ სატიტულო ბრძოლაში მოვლენები დრამატულად განვითარდა, მაგრამ განსაკუთრებით მაინც „მწვანე კონტინენტზე“ დადგმული ექვსსაათიანი(!) სპექტაკლი-მარათონი უნდა გამოვარჩიოთ.

აღსანიშნავია, რომ „ნოლემ“ ზედიზედ მეშვიდე შეხვედრაში სძლია მრისხანე მეტოქეს და მათ სამატჩო ბალანსში კიდევ უფრო შეამცირა ჩამორჩენა — 14:16.

ისიც სათქმელია, რომ მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა დებიუტშივე გადაიბრუნა ფეხი, მაგრამ ბოლომდე ვაჟკაცურად გაუძლო ტკივილებს და მესამედ გაიმარჯვა მელბურნის კორტზე, კარიერაში კი მეხუთედ დაიპყრო დიდი მუზარადის ტურნირების მწვერვალი.

დავძენთ, რომ ქალთა თანრიგში ბელარუსმა ვიქტორია აზარენკამ პირველი ანალოგიური ტიტული მარია შარაპოვას ძლევით მოიპოვა — 6:3, 6:0.



ფეხბურთი

# ასეთია მწვრთნელის ბედი

**როგორც მოგეხსენებათ, თბილისის „დინამო“ ესპანურ შეკრებაზე ალექს გარსიამ წაიყვანა, მაგრამ, როგორც შევიტყვეთ, იქიდან ესპანელი მწვრთნელის გარეშე დაბრუნდება და მას გიორგი დევდარიანს ჩააბარებენ.**

ყველაზე ტიტულოვანი ქართული კლუბის თავკაცებს მოთმინების ფიალა შვეიცარიის „იანგ ბოიზთან“ მარცხის შემდეგ აევსოთ — 1:3 და პირენეელი სპეციალისტის გათავისუფლების გადაწყვეტილება მიიღეს.



კულუარული ინფორმაციით, ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონის მმართველ შტაბში სხვა სიახლეებიც იგეგმება. კერძოდ, ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონის გენერალური დირექტორი სანდრო შახოვი, სავარაუდოდ, „დინამოს“ გენერალურ დირექტორად დაინიშნება და ჩვენი სახელოვანი კლუბის საკუთრებაში თუ იჯარაში არსებულ ობიექტებს ერთიან მართვაში მოაქცევს, ხოლო ჯერაც გენერალური დირექტორი ზურაბ პოლოლიკაშვილი, თურმე, ვიცე-პრეზიდენტი გახდება.

პიროვნება

# დიდი გუნდის დიდი მეფარე

**წლეულს 29 ივნისს 50 წელი შესრულდება მას შემდეგ, რაც ჟენევაში თბილისის „დინამოს“ კალათბურთელებმა მადრიდის „რეალი“ დაამარცხეს 90:83 და ევროპის ჩემპიონთა თასი მოიპოვეს. „ოცდაათი წელიწადია, თვალს ვადევნებ ევროპის კალათბურთელთა თამაშს, მაგრამ ასეთი საინტერესო ბრძოლა ჯერ არ მინახავს. „რეალი“ ქარიშხალი და ტექნიკა იყო, „დინამო“ — ქარიშხალი, ტექნიკა და სათამაშო დისციპლინა“, — თქვა ფინალური მატჩის შემდეგ კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციის გენერალურმა მდივანმა უილიამ ჯონსმა.**

იმ ლეგენდარული გუნდის წარმატებებში დიდი წვლილი შეიტანა ტანმაღალმა კალათბურთელმა ილარიონ ხაზარაძემ, რომელიც სპორტის ამ სახეობის ანბანს 1948 წელს ეზიარა თამარ გეგელაშვილის ხელმძღვანელობით. სამი წლის შემდეგ მიხეილ კეკელიძემ თბილისის განათლების განყოფილების გუნდში გადაიყვანა. მაშინდელი „ტონოს“ შემადგენლობაში ჯერ ამიერკავკასიის პირველობა მოიგო, მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაზე კი მეორე ადგილი დაიკავა.

მას შემდეგ, რაც თბილისის „დინამოში“ ჩაირიცხა, თვალსაჩინო გამარჯვებებს მიაღწია: 1962 წელს ევროპის ჩემპიონთა თასი მოიგო, ერთხელ საბჭოთა კავშირის ზამთრის ჩემპიონატზე იყო პირველი, ხუთჯერ სოციალისტური ქვეყნების დინამიადების ოქროს მედლები მოიპოვა, ორჯერ საკავშირო ჩემპიონატებსა და 1959 წელს საბჭოთა კავშირის ხალხთა მეორე სპარტაკიადაზე ვერცხლის მედლები ერგო, ორი წლის განმავლობაში (1958-1959 წ.წ.) საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრი იყო.

ამ მცირე ბიოგრაფიული მონაცემებიდან ნათლად ჩანს დიდი შრომა, ძალა და ენერგია, რომელიც ილარიონ ხაზარაძემ ქართული კალათბურთის აღმავლობას შეალია.

— „დინამოს“ ფორმა პირველად 1957 წელს ბუქარესტში სოციალისტური ქვეყნების დინამიადაზე მოვირგე პოლონელების წინააღმდეგ პაექრობისას, — იხსენებს ვეტერანი სპორტსმენი. — საკავშირო ჩემპიონატში კი 1958 წელს ვითამაშე ლენინგრადში „ქალგირისთან“ დაპირისპირებისას.

ნევისპირა ქალაქში ქართველი ჭაბუკის თამაში თვალში მოხვდა საბჭოთა გუნდის მთავარ მწვრთნელს სურენ სპანდარიანს და ილარიონ ხაზარაძე ნაკრებში მიიწვია. იმავე წელს გუნდი ორ ნაწილად დაიყო. პირველი, რომლის შემადგენლობაში გურამ მინაშვილიც გამოდიოდა, ამერიკის შეერთებულ შტატებში გაემგზავრა, მეორე ნაკრებმა კი ამხანაგური შეხვედრები ჩინეთში გამართა. მაშინ სხვებთან ერთად მის ღირსებას ხაზარაძე, ანზორ ლეჟავა, ლევან მოსეშვილი და ვლადიმერ უგრეხელიძე იცავდნენ.

— ჩინეთიდან დაბრუნების შემდეგ თითქმის ერთი თვე ევროპის ჩემპიონატისთვის ვემზადებოდი. გამგზავრებამდე ცოტა ხნით ადრე ბაქოელი 212-სანტიმეტრიანი გიგანტი მოსკოვის „დინამოში“ უნდა გადაეყვანათ. პეტროვმა ნაკრების ხელმძღვანელობას ულტიმატუმი წაუყენა — კონტინენტის პირველობაზე თუ არ წამიყვანთ, „დინამოში“ არ გადავალო. სპანდარიანი არჩევანის წინაშე დადგა. მართალია, თბილისში იყო დაბადებული და ქართველებს დიდ პატივს სცემდა, მაგრამ უფროსების წყენინებას მოერიდა და ბოდიშებით ნაკრებიდან დამითხოვა.

არადა, იმ წელიწადს „დინამოს“ ტანმაღალი მეფარე ჩინებულ სპორტულ ფორმაში იყო. საკავშირო ჩემპიონატის მატჩში არმიელებმა თბილისელებს უმასპინძლეს და 74:78 დამარცხდნენ. ხაზარაძემ გუნდს 22 ქულა შესძინა. გულშემატკივრებმა მქუხარე ოვაციით



გააცილეს შეხვედრის გმირი. მეორე დღეს გაზეთ „სოვეტსკი სპორტის“ ფურცლებზე მისი გვარი მთავრული ასოებით დაიბეჭდა.

**— სპორტული კარიერის განმავლობაში წყენასთან ერთად თქვენ დაუვიწყარი წუთებიც გახსოვთ...**

— დიახ, დღემდე თვალწინ მიდგას 1959 წლის სპარტაკიადის მატჩი ლატვიელებთან. ლატვიელი კალათბურთელები მაშინ ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელნი იყვნენ და საკავშირო ნაკრების ძირითად ბირთვს წარმოადგენდნენ. არბიტრების მიკერძოებული მსაჯობის გამო გუნდის წევრთა უმრავლესობას 5-5 საჯარიმოებით ვადამდე დაგვატოვებინეს სარბიელი. მესამე დამატებით ხუთწუთიან მონაკვეთში საქართველოს ნაკრებში დარჩა ხუთი მოთამაშე ოთხოთხი პერსონალური საჯარიმოთი. მალე მათ რიგებს გამოაკლდა ვლადიმერ უგრეხელიძე, მერე — ლევან მოსეშვილი. მოედანზე სამი ქართველი დარჩა — გურამ აბაშიძე, თამაზ კაკაურიძე და ვალერი ალთაბაევი ხუთი ლატვიელის წინააღმდეგ და მაინც ეს დრამატული პაექრობა ჩვენებმა 88:86 მოიგეს. მერწმუნეთ, მსგავსი რამ მსოფლიო კალათბურთის ისტორიას არ ახსოვს. მაშინ ბალტიისპირელთა ღირსებას იცავდნენ ვალდმანისი, კალნინში, კრუმინში, მუიჟნიეკსი, გულბისი, დავიდისი — შეიძლება ითქვას, მაშინდელი ევროპული კალათბურთის მთელი თაიგული. თუმცა, „დინამოს“ მაშინ მეტი ჟინი და მოგების წყურვილი აღმოაჩნდა და ამიტომაც გავიმარჯვეთ.

**— დიახ, მაგრამ ის წარმატება ევროპის ჩემპიონთა თასის მოპოვებას ვერ გაუტოლდება.**

— გეთანხმებით. 1962 წლის მატჩი მადრიდის „რეალთან“, არ მიწყენენ, თუ ვიტყვი, დღემდე ქართული კალათბურთის მწვერვალად რჩება. ეს არ იყო შემთხვევითი წარმატება. რომ არაფერი ვთქვათ სხვა გუნდებზე, ნახევარფინალში ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელ ცსკა-ს ორჯერ ვძლიეთ — მოსკოვსა (75:71) და თბილისში (74:66). ალბათ, ცოტას თუ ახსოვს, რომ ორი წლით ადრე „დინამომ“ მსგავსი ტურნირის მხოლოდ ფინალური პაექრობა დათმო რიგის არმიელებთან.

ჟენევის ორთაბრძოლისას თავიდან თითქმის მთელი დარბაზი „რეალს“ ქომაგობდა, მაგრამ მეორე ტაიმიდან სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა — გულშემატკივრები ჩვენს იერიშებს ხვდებოდნენ მქუხარე ოვაციებით. მათ შორის გახლდათ ერთი გერმანელი ქალბატონი ქალიშვილებთან ერთად, რომელსაც ახალგაზრდობისას საქართველოში უცხოვრია. მაშინდელი გამარჯვებით ქომაგებს დიდი სიხარული მოვგვარეთ...

აქტიურ სპორტთან განშორების შემდეგ 25 წელიწადი შინაგან საქმეთა ორგანოებში იმუშავა. ღირსების ორდენის კავალერი კარგა ხანია, პენსიაზეა. დღემდე ჯან-ღონით სავსეს საკუთარი ხელით მოჰყავს მოსავალი სოფელში, მტკვარზეც დადის სათევზაოდ და თბილისში ეროვნულ ჩემპიონატსაც და ნაკრების მატჩებს არ აცდენს. კალათბურთით ცოცხლობს ილარიონ ხაზარაძე, რომელსაც დღეს 75 წელი შეუსრულდა.

ვულოცავთ!

**ვაჟა დანელია**

ID ბარათები

# მეუფე იობი: ჩვენს ქვეყანაში ექსპერიმენტს ატარებენ...

**წმინდა სინოდმა 2011 წლის 20 დეკემბერს ID ბარათებზე იმსჯელა და განაჩინა: საკითხის შესასწავლად შექმნილიყო კომისია ურბნისისა და რუისის მიტროპოლიტ იობის (აქიაშვილი)ს, ხონისა და სამტრედიის მიტროპოლიტ საბასა (გიგიბერია)ს და რუსთავისა და მარნეულის მიტროპოლიტ იოანეს (გამრეკელი)ს შემადგენლობით.**



გთავაზობთ მეუფე იობის ქადაგებას ამ საკითხზე: „სინოდში მღვდელმთავრებს შორის დაპირისპირება იყო, — განაცხადა მეუფე იობმა 22 იანვარს,— ზოგს უნდოდა ყოფილიყო ეს ბარათები, ზოგიც — ეწინააღმდეგებოდა. შეიქმნა კომისია, რომელმაც იმსჯელა ამ ბარათებთან დაკავშირებით და გადაწყდა, რომ მივმართოთ მთავრობას, ალტერნატიული საბუთების შექმნის თაობაზე, რომელშიც არ იქნება ჩიპი და რიცხვი 666. ეს არის ღვთის დიდი წყალობა, მადლობა უფალს, რომ ასეთი გადაწყვეტილებაა მიღებული.

მისი უწმინდესობა დათანხმდა ამ წინადადებას, და ახლა მზადდება ტექსტი, მივმართოთ ხელისუფლებას, გაითვალისწინოს 95 პროცენტი მართლმადიდებელი ქრისტიანის აზრი, რომ ჩვენ მოგვცენ არჩევანის უფლება, და არა იძულებით თავს მოგვახვიონ ელექტრონული ბარათები, რომ ასე იცხოვროს ქართველმა ერმა.



ეს ხდება იმის ფონზე, — დასძინა მეუფემ, — როდესაც ევროპის წამყვანი ქვეყნები უარს ამბობენ ელექტრონულ ბარათებზე, მათ შორის დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, გერმანია, საბერძნეთი, უკრაინა, რუსეთი, და აშშ-ს 29 შტატიც. და ჩვენ კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით, რომ ნამდვილად ექსპერიმენტებს ატარებენ ჩვენს ქვეყანაში, სურთ, თავს მოგვახვიონ განსაცდელი, რასაც ჰქვია ელექტრონული ბარათები. ამით მანიპულირებენ, რომ ხალხზე ზეგავლენა მოახდინონ და ასე შეავიწროვონ ჩვენი მრწამსი, ჩვენი სარწმუნოება.

და მადლობა უფალს, ეს არის ღვთის წყალობა, რომ ამ მადლზე დადგნენ წმინდა სინოდის წევრები. მისმა უწმინდესობამ ისიც კი ბრძანა, გამოიცეს ბროშურების სახით, რომ მთელს საქართველოში დარიგდეს და ინფორმირებული იყოს მოსახლეობა ამ ელექტრონული ბარათების შესახებ.

არა მარტო ID ბარათები, ბიომეტრიული პასპორტებიც უნდა შეიცვალოს და ჩვენ მოგვეცეს საშუალება, რომ ნებაყოფლობით გამოვხატოთ ჩვენი დამოკიდებულება ამ საბუთებისადმი,“ — განაცხადა მეუფე იობმა.

**თამარ შაიშმელაშვილი**

მსოფლიოს ყველა კუთხიდან

## განათლებულთა მარტოსულობა



**რაც უფრო მაღალი განათლებისაა ქალი, მით ნაკლები მეგობარი ჰყავს მას. ასეთ დასკვნამდე მივიდნენ ამერიკელი მკვლევარები კორნელის უნივერსიტეტიდან. მათ 2000 კაცს სთხოვეს ჩამოეთვალათ ნაცნობი ადამიანები, რომლებთანაც განიხილავდნენ პირად საკითხებს ბოლო ნახევარი წლის განმავლობაში.** გამოკითხულთა 29 პროცენტმა ორზე მეტი ადამიანი დაასახელა, 18 პროცენტმა — ორი, 48 პროცენტმა — მხოლოდ ერთი, 4 პროცენტმა უპასუხა, რომ საკუთარი ცხოვრების დეტალებს არავის უზიარებს. გამოდიოდა, რომ ყოველ მოზრდილ ადამიანს საშუალოდ ორი მეგობარი ჰყავდა, ვისაც შეუძლიათ ენდონ.

რაც შეეხება სქესობრივ დაყოფას, აღმოჩნდა, რომ ქალებს განათლების უფრო მაღალი დონით ყველაზე ნაკლები მეგობრები ჰყავთ.

## მოუქნელი მემარჯვენეები

**ადამიანის მიერ მუსიკისთვის უპირატესობის მინიჭება დამოკიდებულია იმაზე, თუ მისი ტვინის რომელი ნახევარსფერო მუშაობს უფრო აქტიურად, დაადგინეს ამერიკელმა მეცნიერებმა. მკვლევარებმა სტუდენტები დაჰყვეს ჯგუფებად იმისდა მიხედვით, თუ რომელი ხელი იყო მათთვის წამყვანი და სთხოვეს მიუთითონ, თუ როგორი სიხშირით უსმენენ ისინი მუსიკის ამა თუ იმ ჟანრს.** აღმოჩნდა, რომ მტკიცე მემარჯვენეები უპირატესობას ანიჭებდნენ თანამედროვე პოპ-მუსიკას, რიტმ-ნ-ბლუზს და ალტერნატიულ როკს. ამბიდექსტრები — ისინი, ვინც თანაბრად კარგად იყენებს ორივე ხელს — ასევე უფრო ხშირად უსმენდნენ რიტმ-ნ-ბლუზს და ალტერნატიულ როკს. თუმცა მემარჯვენეთა შორის თითქმის არავინ აღმოჩნდა „არაპოპულარულ“ მიმართულებათა მოყვარული, განსაკუთრებით რეგისა და ბრიუგრასისა. მკვლევარები მიიჩნევენ, რომ ამ მოვლენის მიზეზი „მტკიცე“ მემარჯვენეთა არასაკმარისად მოქნილი აზროვნებააო.

## იტალია წუხს

**იტალიის მცხოვრებთა შორის მკვეთრად გაიზარდა საგანგაშო მდგომარეობისა და ქრონიკული ფსიქოლოგიური მოშლილობის შემთხვევები.**

მეცნიერები ასკვნიან: იტალიელები არიან ერი, რომელიც ბერდება, თუმცა მთლიანად ჯანსაღია. მაგალითად, სიკვდილიანობა გულისა და სისხლძარღვთა დაავადებებისგან შემცირდა ზუსტად ისე, როგორც კიბოსაგან. მაგრამ მედიკოსების სერიოზულ შეშფოთებას იწვევს იტალიელთა ფსიქიკური ჯანმრთელობა.

იტალიაში ბევრ ადამიანს აწუხებს დეპრესიები და პიროვნული მოშლილობა. მწუხარება და მელანქოლია, რომლებიც ადრე არ იყო დამახასიათებელი ემოციური იტალიელებისთვის, სულ უფრო და უფრო მეტ სივრცეს იპყრობენ.

## რატომ არის მთქნარება გადამდები?



**გადამდები მთქნარება — ურთიერთობის ფორმაა, ის ეხმარება ადამიანებს ჰქონდეთ ურთიერთობა ერთმანეთთან, მიაჩნიათ იტალიელ მეცნიერებს. ამ ვერსიის სასარგებლოდ მეტყველებს ის ფაქტი, რომ ბავშვებს ბუნებრივი „მთქნარების მიბაძვის“ უნარი უჩნდებათ 4-5 წლის ასაკში, ადამიანთა სხვა ემოციების გაგების ჩვევების განვითარებასთან ერთდროულად. მაგრამ დღემდე უცნობი იყო, კერძოდ თუ რა განსაზღვრავს — იქნება თუ არა მთქნარება „გადამდები“.**

მკვლევარებმა პიზის უნივერსიტეტიდან ანალიზი გააკეთეს იმ 109 მოხალისის მთქნარების 480 შეტევას, რომლებიც დედამიწის სხვადასხვა მხარეში ცხოვრობენ — ჩრდილოეთ ამერიკაში, აზიაში, აფრიკასა თუ ევროპაში. მთქნარებაზე ადამიანების რეაქცია მართლაც ასახავდა კავშირურთიერთობას, რომელიც არსებობს ადამიანთა სხვადასხვა ჯგუფებს შორის.

ყველაზე „გადამდები“ იყო ოჯახის წევრთა მთქნარებები, რომლებიც იწვევდნენ ასევე გამოსაცდელთა ნახევრის სურვილს დაემთქნარებინათ თავადაც. მეგობრების მთქნარებაზე რეაგირებას ახდენდა მოხალისეთა დაახლოებით ერთი მეოთხედი. უბრალო ნაცნობთა მთქნარება საპასუხო სურვილს იწვევდა მხოლოდ ყოველ მერვეში, უცნობებისა — მხოლოდ ათიდან ერთში.

ХОРОВЬ

ინფორმაცია

## საგარეო უწყება აფხაზეთში მღვდელმონაზონ იონას დაკავების ფაქტს ადასტურებს

**საქართველოს** საგარეო უწყება აფხაზეთში მღვდელმონაზონ იონას დაკავების ფაქტს ადასტურებს. როგორც გუშინდელ ტრადიციულ ბრიფინგზე საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე დავით ჯალაღანიამ განაცხადა, დამატებითი დეტალები ჯერ არც საგარეო საქმეთა სამინისტროსა და არც შს სამინისტროსთვის ცნობილი არ არის.

დავით ჯალაღანიას განცხადებით, 31 იანვარს გალში, ინციდენტების პრევენციისა და მასზე რეაგირების მექანიზმების ფარგლებში მორიგი შეხვედრა გაიმართება და ქართული მხარე ამ საკითხს შესაბამისი სიმკაცრით დააყენებს.

საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე იმედს გამოთქვამს, რომ გაირკვევა ამ საკითხთან დაკავშირებული დეტალები და მოხდება მღვდელმონაზვნის გათავისუფლება.

— სამწუხაროდ, ჩვენ ოპერატიული ინფორმაციის მოპოვების წყაროები შეზღუდული გვაქვს, თუმცა ეს ვანდალური აქტი და კრიმინალური გამოვლინებაა, ოკუპირებულ ტერიტორიებზე განუკითხაობა და უკანონობა ყოველდღიური ფაქტია, — განაცხადა დავით ჯალაღანიამ.

მღვდელმონაზონი იონა (მამუკა მაისურაძე) აფხაზეთში რამდენიმე დღის წინათ გაემგზავრა და მას შემდეგ აღარ გამოჩენილა. ქართველი სასულიერო პირები ვარაუდობდნენ, რომ იონა აფხაზეთში დააკავეს.

მოგვიანებით, ქართულმა ტელეკომპანიებმა გაავრცელეს ინფორმაცია, რომ მღვდელმონაზონი აფხაზეთში გაიტაცეს და გამოსასყიდის სახით 100 ათას დოლარს ითხოვენ. ამ ინფორმაციის მიხედვით, მღვდელმონაზონი მაშინ გაიტაცეს, როდესაც ის ილორის ტაძრისთვის ფოტოსურათების გადაღებას ცდილობდა.

ინტერპრესნიუსი

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
29 9-62-77;
599 32-85-76.
გ. ახვლედიანის ქ. №19.

სანთელი

## ლელა ჭანკვეტაძის ნათელ ხსოვნას



უკვე ერთი წელიწადი უშენოდ გაილია, უსაყვარლესო ლელა. შენი ფიქრით, შენ შენს სიცოცხლეს გაექეცი, სინამდვილეში კი ჩვენი სიცოცხლის აზრიც თან გაიყოლე. მაგრამ არა, სიკვდილს არ ძალუძს, რომ შენი ხსოვნა ჩაფერფლოს ჩვენს გულებში. როგორც ადრე, დღესაც ისევ ჩვენთან ხარ და ჩვენთანვე დარჩები, სანამ თითოეულ ჩვენგანს სამზეოში ყოფნა გვიწერია. შენს მარად ცოცხალ სამარეს არასოდეს არ მოაკლდება გულმკვდარი დედაშენის მწარე ცრემლი, ხოლო მოსიყვარულე ადამიანებისგან — ის ყვავილები, რომელთა ხილვაც მუდამ გიყვარდა.

**თენგიზ ქავთარაძე**



მეუღლე ნარგიზა პატარიძე, შვილები ნინო, ირაკლი ჭაფოძეები, შვილიშვილები თათული, ლაშა და უახლოესი ნათესავები იუწყებიან

**მურთაზ ჭაფოძის**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 31 I, 14 სთ. გამოსვენება ნუცუბიძის მე-2 პლატო, მირქმის სახელობის ეკლესიიდან.

---

სვეტლანა, შალვა, ვანო, ზვიად, ბიძინა, ლევან მგალობლიშვილები ოჯახებით მწუხარებას გამოხატავენ საუკეთესო პიროვნების

**მურთაზ ჭაფოძის**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ ოჯახის წევრებსა და ახლობლებს.

---

ჟანა, ნონა, თემურ ბრელიძეები, მარინა კანდელაკი მწუხარებით თანაუგრძნობენ მეუღლეს ნარგიზა პატარიძეს, შვილებს ნინო, ირაკლი ჭაფოძეებს და სხვა ჭირისუფალთ

**მურთაზ ჭაფოძის**

გარდაცვალების გამო.

---



შვილები ავთანდილ, ამირან ლავთაძეები, რძლები მაია კურცხალია, ლია სებისკვერაძე, ლიანა კვინიკაძე, შვილიშვილები თამარ, დავით, თეონა, მიხეილ, ლევან ლავთაძეები, მაზლი გიორგი ლავთაძე, დისწულები, მაზლიშვილები, მულიშვილები, მძახლები ლილი კვინიკაძე, ნათელა, ჟორა სებისკვერაძეები ოჯახებით იუწყებიან დედის, ღვაწლმოსილი პედაგოგის

**ოლია ვარდენის ასულ ცერცვაძე-ლავთაძის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი: 31 იანვარი, 1 თებერვალი, დაკრძალვა 2 თებერვალს, ხუთშაბათს, 14 საათზე, ზესტაფონში, ვახუშტი ბატონიშვილის ქ. №103.

---

საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირი და საინფორმაციო სააგენტო „ჯეონიუსი“ სამძიმარს უცხადებს თბილისის მერიის საქალაქო სოციალური სამსახურის სააგენტოს უფროსს, ცნობილ ექიმს გია მამრიკიშვილს

**დედის**

გარდაცვალების გამო.

◉ გრძნობის მორევი

# ერთი ერთზე: თანაფარდობის იდეალი

**რა არის ქალისა და მამაკაცის სიყვარული? სინაზე, ერთგულება, მხარში დგომა და კიდევ, ცხადია, სექსი. რამდენად მნიშვნელოვანია მუდმივ ურთიერთობათა მისაღწევად და, რაც მთავარია, მათ შესანარჩუნებლად, ეროტიკული ურთიერთობანი? მიუხედავად იმისა, რომ ეს კითხვები დიდი ხანია კაცობრიობას აღელვებს, მათზე ზუსტი პასუხის გაცემა დღემდე მაინც ვერავინ შეძლო და ზუსტად ვერავინ იტყვის — არსებობს თუ არა რომანტიკული ურთიერთობები ფიზიკური სიახლოვის გარეშე და სიყვარული უსექსოდ?**

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მონაცემებით, მსოფლიოში ყოველ წუთს 65 ათასი სქესობრივი აქტი ხდება. სექსი ადამიანებს იმდენად აინტერესებთ, რომ, მაგალითად, ესპანეთში ამ თემაზე ტელესერიალიც კი გადაიღეს, რომელშიც მსოფლიოს 23 ქვეყნის მცხოვრებთა ინტიმური ცხოვრების თავისებურებათა შესახებაა მოთხრობილი. ფილმის შემქმნელებმა ექსპერტებმა — ფიზიოლოგების, ფილოსოფოსებისა და, წარმოიდგინეთ, პორნოვარსკვლავთა აზრიც კი გაითვალისწინეს! აღმოჩნდა, რომ **სხვებზე იშვიათად სექსი აქვთ იაპონელებს, ბრაზილიაში ყველაზე მეტი ჰომოსექსუალისტია, ხოლო ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნებში სექს-სათამაშოები და გადაცმა უყვართ.**

სხვათა შორის, სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ იაპონელები ტყუილად როდი არიან სექსში ყველაზე თავშეკავებულნი — ისინი იმდენად განვითარებულნი და ცივილიზებულნი არიან, რომ რომანტიკამ მათ შეგნებაში უკანა პლანზე დაიხია. **სექსუალური ცხოვრებით კი მსოფლიოში ყველაზე კმაყოფილნი, თურმე, ნიგერიელები ყოფილან!** მაგრამ უფრო გასაკვირი ისაა, რომ მეცნიერები ამასაც... რომანტიკის უქონლობით ხსნიან: საქმე ისაა, რომ იქ ქალებისადმი მოთხოვნები მაინცდამაინც დიდი არ არის. ეს ჩვენთანაა ისეთი მოთხოვნები, რომ ქალი ოჯახის შვილი, წესიერი, ლამაზი, მოსიყვარულე მეუღლე, დედა და რძალი უნდა იყოს, თან კაი საცივის გაკეთებაც იცოდეს და ხაჭაპურის გამოცხობაც. მაგრამ, აბა, ასეთები განა სადმეა ბლომად? სწორედ ამიტომაა, რომ ერთმანეთით კმაყოფილ ქალთა და მამაკაცთა ოდენობა ერთმანეთს არასდროს ემთხვევა...

ამასთან, მეცნიერებმა, რომლებიც ჩვეულებრივ ყველაფერს „ნაწილებად“ შლიან და ისე ცდილობენ მოვლენის არსში გარკვევას, სიყვარულის მიკროსკოპით გასინჯვა სცადეს. **თუკი შეყვარებულს (ქალი იქნება ეს, თუ მამაკაცი) საყვარელ ადამიანზე (ანდა, სულაც, მასზე გაფიქრებაზე) გულისცემა უჩქარდება, ლოყები ეწვის და ხელისგულები უოფლიანდება, ყველაფერი ეს ჰორმონების ბრალია, რადგან სიყვარული — ესაა ქიმიურ რეაქციათა ჯაჭვი, დარწმუნებულნი არიან ფიზიოლოგები.**

თურმე სიყვარულის ქიმიაში მთავარი ნივთიერება **დოფამინი** ყოფილა, რომელიც ეიფორიას, სუპერაქტივობას, ასევე ფიზიკურ და ფსიქიკურ აღგზნებას იწვევს. ეს ჰორმონი, თავის მხრივ, ორი სხვა ჰორმონის — **ნორადრენალინისა და ადრენალინის** წინამორბედია, რომლებიც, თავის მხრივ, მღელვარებას, დაძაბულობას და იმავე გულისცემის აჩქარებას იწვევს. აღსანიშნავია ისიც, რომ ამურის ტყვეობაში ჩავარდნილთა ორგანიზმში ჰორმონ **სეროტონინის** შემცველობა დაქვეითებულია. ყველაზე საგულისხმო კი ის არის, რომ **სეროტონინის შემცველობა ასევე დაქვეითებული აქვთ ფსიქიკის ისეთი დარღვევების მქონე ადამიანებს, როგორებიცაა აკვიატებული აზრები, რაიმეს ამოჩემება და რაღაცით გადაჭარბებულად გატაცება.** სწორედ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ შეყვარებული ადამიანი გამუდმებით თავის გულისწორზე ფიქრობს.



დროთა განმავლობაში შეყვარებულობის გრძნობას ახლობლობის გრძნობა ანაცვლებს. სიმშვიდისა და უსაფრთხოების შეგრძნებას თავის ტვინის მიერ გამომუშავებული ჰორმონები **ენდორფინი, ვაზოპრესინი და ოქსიტოცინი** უზრუნველყოფენ. ამიტომ, ასაკისდამიუხედავად, ადამიანს აუცილებლად მეორე ნახევარი უნდა ჰყავდეს და აუცილებლად უნდა დაქორწინდეთ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ცოტა ხნის წინათ ევროპაში ჩატარებული გამოკვლევებით დადგინდა, რომ **ადამიანთა 52 პროცენტს სექსუალური ურთიერთობა მხოლოდ ერთ პარტნიორთან აქვთ.** ისე კი, უნდა ითქვას, რომ ზოგიერთი ექსპერტის აზრით, მონოგამია კაცობრიობის პროგრესს ხელს არ უწყობს. უფრო უხეშად რომ ვთქვათ, **მსოფლიოში გაცილებით მეტი სპერმაა, ვიდრე მასზე მოთხოვნილება არსებობს. მაგალითად, ჯანმრთელ ქალს სიცოცხლის მანძილზე დაახლოებით 20 ბავშვის დაბადება შეუძლია, თუკი მათ გაჩენას 16 წლის ასაკიდან დაიწყებს. ერთი ეაკულაციის შედეგად კი მამაკაცს შვეიცარიისხელა ქვეყნის მოსახლეობის რიცხოვნობის ტოლი ქალთა ოდენობის განაყოფიერება შეუძლია!**

მაგრამ, რაც უნდათ ის თქვან სწავლულებმა — იდეალური მაინც ის ურთიერთობებია, როცა ქალი და მამაკაცი ერთმანეთისთვის მხოლოდ ერთნი და განუმეორებელნი არიან!

**ირმა ირემაშვილი**

◉ ცნობისმოყვარეთათვის

# სად, რა, როდის?

● უკრაინელთა ერთ-ერთი მთვარი ქალღმერთი იყო ომში გამარჯვების ქალღმერთი. მისი გამოსახულებიანი ფარებითა და მფარველობის იმედით უკრაინელი მეომრები თამამად მიდიოდნენ ომში. ზოგიერთი მეცნიერის აზრით, სწორედ ამ ქალღმერთის სახელიდან წარმოიშვა ხალხთა დიდი ჯგუფის საერთო დასახელება — სლავები, რადგანაც სლავების ქალღმერთი იყო — სლავა.

● არსებობს ძველი ჩინური ლეგენდა: „იმპერატორმა შეიტყო ერთი ბრძენის განსწავლულობის შესახებ. მან დაიბარა ბრძენი და გადაწყვიტა, მისი ცოდნა შეემოწმებინა ერთ-ერთ სფეროში. ბრძენმა უპასუხა, რომ მან ის იცის, რამდენი ბალანიც აქვს ხარს, ხოლო ბრძენმა ამდენი იეროგლიფი იცოდა.

● ძვ.წ. III საუკუნეში რომის იმპერიაში კარგად ორგანიზებული ყალბი ფულისმჭრელთა ჯგუფი მოქმედებდა, რომელმაც დიდი ზარალი მიაყენა სახელმწიფოს. ხელისუფლებამ მიაგნო მათ. დამნაშავეთა უმეტესობა სიკვდილით დასაჯა, ნაწილი კი სახელმწიფო ხაზინაში ფულის დამზადების სპეციალისტებად მიიწვია.

● როგორც ცნობილია, ხეოფსის პირამიდის აგებას უდიდესი შრომა, საშენი მასალა და დრო დასჭირდა, მაგრამ პირამიდის მშენებლობის დაწყებამდე 10 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა არანაკლებ მძიმე სამუშაოები, რომლებსაც ოსტატები ასრულებდნენ და ეს იყო გზის გაყვანა.

● ზოგს მიაჩნია, რომ ის ძველმა ეგვიპტურმა ღმერთმა ტორმა შექმნა, რომლითაც ადამიანებისათვის უნდა გაეცნო სამყაროს შემადგენელი ოთხი სტიქია: ცეცხლი, წყალი, მიწა და ჰაერი. ზოგის აზრით კი იგი ეშმაკმა შექმნა და სწორედ ამიტომაც არის ის მაცდუნებელი და მაგიაშიც ამიტომ გამოიყენება — ეს არის კარტი.

● ერთ-ერთი ებრაული ლეგენდის მიხედვით, ცოდვით დაცემული ევა შურით აღივსო და ყველა ცოცხალ არსებას გაასინჯა „აკრძალული ხილი“. მხოლოდ ერთმა ფრინველმა მილხამმა გაუძლო ცდუნებას და ამ ფრინველს, რომელსაც ამის გამო მიეცა სიკვდილის ანგელოზის ბრძანება: „ღვთისმოშიში არ უნდა კვდებოდეს“, ვუწოდებთ — ფენიქსს.

● ზოგიერთი პოლიტიკოსი და ბიზნესმენი მეტად საჭირო საიდუმლო დოკუმენტებს სპეციალურ დიპლომატებში ინახავს, რომლებიც მაშინვე ნადგურდება, თუ მის გახსნას უცხო პირი მოინდომებს. ომის დროს კი მებრძოლები ხშირად ანადგურებენ მნიშვნელოვან ობიექტებს, რათა მტერმა არ გამოიყენოს ის. ძვ.წ. 30 წლის 20 აგვისტოს ოქტავიანეს საბრძოლო მონაპოვარმა, როგორც უმნიშვნელოვანესი ალაფი, რომის ქუჩებში ყველას დასანახავად უნდა ჩამოეტარებინათ, თავი გაინადგურა. იმპერატორის ნადავლი იყო კლეოპატრა, რომელმაც თავი კობრას დააკბენინა.

● მიუხედავად იმისა, რომ ბიბლია მას „უწმინდურ ფრინველად“ მიიჩნევს, ის მიანც ბედნიერების სიმბოლოა, ხოლო ანტიკური ლეგენდის მიხედვით, ის მოხუცი მშობლების გამოკვებაზე ზრუნავს და სწორედ ამიტომ სიყვარულისა და მზრუნველობის სიმბოლოა. თავისი ქცევით ის მედიტაციის სახეა, ჩინეთში ხანგრძლივი სიცოცხლის სიმბოლოა. ზღაპრული წარმოდგენით, ეს ფრინველი კონკურენციას კომბოსტოს უწევს — ეს გახლავთ წერო, რომელსაც „მოჰყავს“ ბავშვები.

მოგვაწოდა
**ტიტე კოპალეიშვილმა**

◉ კადრი



**რეკლამა**

„საქართველოს რესპუბლიკაში“ 299-62-77; 599 32-85-76.

◉ ანეკდოტები

უკვე ვისწავლეთ ზღაპრის რეალობად ქცევა, თუმცა ჯერ მხოლოდ ყველაზე საშინელებისა...

* * *

დღეს ისე მაგვიანდებოდა სამსახურში, რომ ბებია ქუჩის მეორე მხარეს წითელ შუქზე გადავიყვანე.

* * *

მოწევის ყველაზე რეალურ ზიანს მაშინ იგრძნობ, როცა მოსაწევად აივანზე გადიხარ, ოთახში დაბრუნებულს კი შენი ხინკალი შეჭმული დაგხვდება.

* * *

ფოტოაპარატის მეშვეობით ფულის ყველაზე სწრაფად კეთების საშუალება მისი გაყიდვაა.



პარალელურ სამყაროში ადამიანები არ ძარცვავენ ბანკებს. იქ ბანკები თვითონ ძარცვავენ ადამიანებს. თუმცა არა... ეს სამყაროშია.

* * *

— საყვარელო, გამიკეთე ის, რა ჰქვია იმას... აი, ის, კაცო... — ეუბნება ქმარი ცოლს.

— კარგი ქვირფასო!..

— ეშმაკსაც წაუღია ის „ყავა“, — ამბობს „საქმის“ მოთავების შემდეგ კმაყოფილი ქმარი.

* * *

ადამიანებო, ვილაპარაკოთ ნორმალური ქართულით! აბა, რა გამოთქმაა „მის საქართველო?“ არა სჯობია, ნორმალური ქართულით ვთქვათ? — „ქალიშვილი მთელი საქართველოსთვის!“ აი, ახლა კი მესმის, რაზეა საუბარი.

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ქოზულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24